



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გიორგი ქობალია

დანაშაულის წამქეზებლობის სპეციფიკა
(კომპარატივისტული ანალიზი)

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მინდია

უგრეხელიძე

აკადემიკოსი, პროფესორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2024 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მინდია უგრეხელიძე

აკადემიკოსი, პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

თამარ ებრაღიძე - სამართლის დოქტორი, საქართველოს
უნივერსიტეტის პროფესორი

ელენე კაკაბაძე - სამართლის დოქტორი, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ, მოწვეული ლექტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 18 იანვარს, 16:00
საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: საქართველო, 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი,
305-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: **ალექსანდრე გიორგიძე**

სამართლის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა და საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

სისხლის სამართლის მეცნიერებას აინტერესებს არა მარტო ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის საკითხი, არამედ, ასევე მნიშვნელოვანი ინტერესის საგანს წარმოადგენს თანამონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს თანამონაწილეობის პრობლემატიკაზე. ქართველ მეცნიერ-იურისტებს შორისაც გაცხარებული კამათი მიმდინარეობს თანამონაწილეობის არაერთ საკითხზე. ამიტომაც სრულიად ცხადია და გასაგებია ის ყურადღება, რომელიც ქართველი, რევოლუციამდელი რუსი, საბჭოელი, გერმანელი და სხვა უცხოელი სისხლის სამართლის მეცნიერი იურისტების ნაშრომებშია გამახვილებული, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის ზოგადი საკითხების მიმართ, ასევე მის ცალკეულ სამართლებრივ ასპექტებზე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით დანაშაულის თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ კვლევას არაერთი დისერტაცია, მონოგრაფია და თუ სახელმძღვანელო მიემდვნა, ის მაინც ბუნდოვანია და მის ირგვლივ არსებული კითხვები ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება, რაც არაერთმა ეროვნულმა და საზღვარგარეთის ქვეყნის სასამართლო პრაქტიკამაც აჩვენა.

დამნაშავეობის სფეროში მიმდინარე პროცესები სახავს ახალ ამოცანებს ზოგადად სისხლის სამართლის მეცნიერების - კერძოდ კი, დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკის წინაშე. თანამონაწილეებს შორის წამქეზებული წარმოადგენს შეუმჩნეველ ფიგურას. ის როგორც წესი თამაშობს „კულისებსმიღმა“ თანამონაწილის როლს. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის ფორმირებას ის ამსრულებლის მეშვეობით ცდილობს. ამდენად,

აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს წამქეზებლის მიერ ამსრულებლის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. წამქეზებელი ისეთ ზეგავლენას ახდენს დანაშაულის ამსრულებელზე, რომ ეს უკანასკნელი თანხმობას აცხადებს დანაშაულის ჩასადენად. გარდა ამისა, მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობით არ შემოიფარგლება წამქეზებლის მოქმედების სივრცე. არ არის გამორიცხული წამქეზებელმა პასუხი აგოს დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის. ისევე როგორც, წამქეზებელი შეიძლება დანაშაულის უშუალო ამსრულებლის როლში მოგვევლინოს. როგორ უნდა განხორციელდეს წამქეზებლის ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება ასეთ ვითარებაში?

კვლევის აქტუალობას დანაშაულის წამქეზებლობასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა და მათი ანალიზი განაპირობებს. პრობლემა გაანალიზებულია როგორც ქართული, ისე უცხოური სისხლის სამართლის დოგმატიკის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. ასევე, განხილული და გამოკვლეულია ადამიანის ნებელობითი ქცევის თავისებურებები ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, იურიდიულ, ლეგიმეტრიულ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის ჭრილში. კვლევის ფარგლებში განხილულია დანაშაულში თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ისტორიული განვითარების კვალდაკვალ და გაანალიზებულია სამართლებრივი ფიქციის პრაქტიკული ღირებულება განსაკუთრებით შუალობითი ამსრულებლობისა და უშედეგო წაქეზების პრობლემასთან მიმართებაში.

კვლევის ფარგლებში განხილულია და ახლებურად არის გაანალიზებული დანაშაულის წამქეზებლობის სამართლებრივი ბუნება, რევოლუციამდელი რუსული, საბჭოური, პოსტსაბჭოური და

თანამედროვე ქართული იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და განსაზღვრულია მისი როლი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისთვის. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით დასაბუთებულია დანაშაულში წამქეზებლობის დასჯადობის აუცილებლობა დანაშაულის ცნების სამელემენტო სტრუქტურის მიხედვით - ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი). უშედეგო წაქეზების, როგორც დანაშაულის მომზადების სწორად გაგებისა და მასთან გამოთქმული კრიტიკის გასაწესებლად დისერტაციაში გაანალიზებულია მისი მიმართება, ერთი მხრივ, განზრახვის გამომჟღავნებასთან და, მეორე მხრივ, დანაშაულის წაქეზებასთან. უშედეგო წაქეზების არსის გასაგებად გადაისინჯა გავრცელებული მოსაზრებები. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს უშედეგო წაქეზების ბუნების უკეთ წარმოჩენასა და მის გამიჯვნას სხვა ირელევანტური ქმედებებისაგან. შედარებით-სამართლებრივი კუთხით გაანალიზებულია როგორც ინგლისურ-ამერიკული ქვეყნების (აშშ, ინგლისი), ასევე, კონტინენტური სამართლის ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი და სხვა) ქვეყნების სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც საქართველოს მსგავსად ითვალისწინებენ უშედეგო წაქეზების დასჯადობას.

დანაშაულში თანამონაწილეობა სისხლის სამართლის მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, ხოლო წამქეზებლის, როგორც დანაშაულში მონაწილე მნიშვნელოვანი ფიგურის, იურიდიული ბუნების დადგენა, საკვლევი პრობლემის სპეციფიკურობით არის განპირობებული. დანაშაულში თანამონაწილეობის აუცილებლობას წამქეზებელი თავისი პირადი მოტივებით დასაბუთებს და ამდენად ეს აუცილებლობა წამქეზებლის შეგნებული და ნებელობითი აუცილებლობაა. საკვლევი პრობლემა

მოიცავს პასუხისმგებლობის საფუძვლის, მიზეზობრივი კავშირის, ბრალის, დამნაშავეთა მოქმედებების იურიდიული შეფასების და სხვა საკითხების ანალიზს.

ჩემს მიერ წარმოებული კვლევა ორიენტირებულია შემდეგი საკითხების განხილვაზე:

- დანაშაულში თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციფიკა:
 - თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი:
 - რევოლუციამდელ რუსულ სისხლის სამართალში;
 - საბჭოურ სისხლის სამართალში;
 - გერმანულ სისხლის სამართალში;
 - ქართულ სისხლის სამართალში;
- დანაშაულის წამქეზებლობის სპეციფიკა:
 - დანაშაულში წამქეზებლობა გერმანულ მეცნიერებაში;
 - დანაშაულში წამქეზებლობა რუსულ სისხლის სამართალში;
 - დანაშაულში წამქეზებლობა ქართულ სისხლის სამართალში;
- დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ანალიზი საერთო სამართლის სისტემაში:
 - დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ანალიზი ინგლისურ სისხლის სამართალში;
 - დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ანალიზი ამერიკულ სისხლის სამართალში;
- დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ანალიზი კონტინენტურ სისხლის სამართალში;

- დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ანალიზი გერმანულ სისხლის სამართალში:
- დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ანალიზი ფრანგულ სისხლის სამართალში:

კვლევის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო თემად შერჩეული კვლევის ძირითად მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს დანაშაულის წამქეზებლის ბუნების, მისი არსისა და პასუხისმგებლობის პრობლემის დეტალური შესწავლა როგორც სამართლებრივ, ისე ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ჭრილში.

კვლევის მიზნებია:

- ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ლიტერატურის მეცნიერული ანალიზის შედეგად ადამიანის ნებელობითი ქცევის თავისებურებების, ადამიანის, როგორც თავისუფალი არსების ბუნების დადგენა;
- დანაშაულის ცნების სტრუქტურის განსაზღვრა ღირებულებითი (აქსიოლოგიური) მეთოდის გამოყენებით, რადგან აქსიოლოგიურად სამართალი თავად არის მიზანი;
- სამართლებრივი ფიქციის პრაქტიკული ღირებულების დადგენა განსაკუთრებით შუალობითი ამსრულებლობის და უშედეგო წაქეზების პრობლემასთან მიმართებაში;
- დანაშაულში თანამონაწილეობის როგორც იურიდიული პრობლემის მეცნიერული ანალიზი თანამონაწილეობის აქცესორული სწავლების ფარგლებში;

კვლევის ამოცანებია შემდეგი საკითხების ანალიზი:

- დანაშაულში წამქეზებლობის ბუნების გააზრება დანაშაულის ცნების სამელემენტო სტრუქტურის მიხედვით - ქმედების

შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი):

- ქმედების შემადგენლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დადგენა:
- თანამონაწილეობის დასჯადობის გარშემო ჩამოყალიბებული თეორიული მიმართულებების სამართლებრივი ანალიზი:
 - თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია:
 - თანამონაწილეობის აქცესორული თეორია:
- დანაშაულში წამქეზებლობის სპეციფიკის განსაზღვრა:
 - დანაშაულის ამსრულებლის პიროვნებაში შეცდომის error in persona-ს გავლენა წამქეზებელზე:
 - წამქეზებლისა და ფსიქიკური დამხმარის გამიჯვნის კრიტერიუმები:
 - წამქეზებლისა და აგენტ-პროვოკატორის გამიჯვნის კრიტერიუმები:
 - წამქეზებლობისა და შუალობითი ამსრულებლობის გამიჯვნის კრიტერიუმები:
 - უშედეგო წაქეზებისა და დახმარების კვალიფიკაციის კრიტერიუმები:
- დანაშაულში წამქეზებლობის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის იურიდიული ანალიზი:
- დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პრობლემატური შემთხვევების სამართლებრივი გააზრება:
- დანაშაულში წამქეზებლობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა საერთო სამართლის სისტემის სახელმწიფოებში:

- ინგლისი
- აშშ-ი
- დანაშაულში წამქეზებლობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის სახელმწიფოებში
 - გერმანია
 - საფრანგეთი
 - შვეიცარია
 - პოლონეთი
 - იტალია
 - ესპანეთი

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები

- ნებისმიერი ქცევის თავისებურებიდან და მისი ფენომენოლოგიიდან გამომდინარე ისმის კითხვა, თავისუფალია თუ არა ნებისყოფა. საინტერესოა ნებისყოფის თავისუფლების ინდეტერმინისტული კონცეფცია თუ როგორ ასაბუთებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის პრობლემას? ნებელობით ქცევას რომ მიმართავს ადამიანის ნებისყოფა, აუცილებლად მოტივით არის განსაზღვრული. აქ ისმის კითხვა, თუ როგორ შეუძლია ნებისყოფას აღძრას ქცევა, რომელიც ასეთი განსაზღვრულობით არ ხასიათდება?
- თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხის გასარკვევად ისმის კითხვა, თუ რაში მდგომარეობს მისი დასჯადობის საფუძველი, რა არის ის სინკრეციული ნიშანი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეებს ახასიათებთ?
 - რომელი ქმედების ჩადენისათვის ისჯება თანამონაწილე?

- რაზე არის დაფუძნებული მისი პასუხისმგებლობის საკითხი?
- რომელ სამართლებრივ სიკეთეს (ობიექტს) ხელყოფს ის პირი, რომელსაც დანაშაული უშუალოდ არ ჩაუდენია და მხოლოდ წაქეზებით შემოიფარგლა?
- დანაშაულის პროვოკაციის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან მიმართებაში (საქართველოს სსკ-ის 145-ე მუხლი), როდესაც წამქეზებელი გასცდა დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიას და ამსრულებელმა დანაშაულის შემადგენლობა სრულად განახორციელა, აქ ისმის კითხვა:
 - როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის პროვოკაციის ამსრულებლის ქმედება, მხოლოდ როგორც პროვოკაცია თუ კონკრეტული დანაშაულის წაქეზება?
- როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს აფექტში ჩადენილი განზრახი მკვლელობა, როდესაც ის განხორციელებულია თანამონაწილეობის ფორმით. მოცემულ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობა გვაქვს თუ არა და თუ ჰო, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ეს ქმედება? როგორია დანაშაულში წამქეზებლობის ობიექტური შემადგენლობა? როგორია დანაშაულში წამქეზებლობის სუბიექტური შემადგენლობა?
 - შეიძლება თუ არა ევენტუალური განზრახვით ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობა?
 - თუ თანამონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს არის შესაძლებელი?

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში შესწავლილ იქნა სამასამდე სამეცნიერო ნაშრომი და ოცამდე სასამართლო გადაწყვეტილება, მათ შორის საქართველოსა და გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე. მოცემულ ეტაპზე მოძიებული და გამოყენებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი წარმოდგენილია დისერტაციის ბიბლიოგრაფიის ნაწილში.

დისერტაციის ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1922, 1928, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსები). ამასთანავე, დისერტაციის მნიშვნელოვან ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის, პოლონეთის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსები, ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის მოდელი (Model Penal Code).

დისერტაციის ინფორმაციული კონტენტი მოიცავს სპეციალურ მონოგრაფიულ ლიტერატურას, სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა და კომენტარებს, საიუბილეო კრებულებს როგორც ქართულ, ასევე გერმანულ ენაზე, სამეცნიერო საჟურნალო პუბლიკაციებს სისხლის სამართლის მიმართულებით, ქართულ, გერმანულ და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას, ენციკლოპედიურ ლექსიკონებს ქართულ, რუსულ, გერმანულ ენაზე, ნორმატიული აქტების კრებულებს. კვლევის

პროცესში გამოყენებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა უცხო ენებზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები.

1. დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხის კვლევის ისტორიას რომ გადავხედოთ, საქართველოში პირველი ნაშრომი ამ მიმართულებით არის ქართული სისხლის სამართლის მეცნიერების ფუძემდებლის, პროფესორ თინათინ წერეთლის მონოგრაფია, „დანაშაულში თანამონაწილეობა“, 1965 წლის¹. 1963 წელს, ორი წლით ადრე პროფესორმა თინათინ წერეთელმა თავის გახმაურებულ მონოგრაფიაში „Причинная связь в уголовном праве“², საბჭოელ კრიმინალისტთა შორის ერთ-ერთმა პირველმა, სუბიექტური მომენტი მოიშველია ობიექტური მართლწინააღმდეგობის და ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის. ასევე, დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას მიუძღვნა პროფესორმა ოთარ გამყრელიძემ თავისი პირველი მონოგრაფია „დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა“, რომელიც გამოქვეყნდა 1974 წელს³, ხოლო მისი სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი, „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, გამოიცა 1989 წელს⁴. ამ უკანასკნელი ავტორის სხვა სამეცნიერო

¹ *წერეთელი თ.*, თანამონაწილეობა დანაშაულში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965.

² *Церетели Т.В.*, Причинная связь в уголовном праве. М., Гозюриздат, 1963.

³ *გამყრელიძე ო.*, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974.

⁴ *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1989.

ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი კვლევა: „თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, რომელიც 1977 წელს⁵ გამოქვეყნდა პროფესორ თინათინ წერეთლის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „იურიდიული ძიებანი“. აკადემიკოსმა მინდია უგრეხელიძემ თავის ნაშრომში, „დანაშაულის სუბიექტური მხარე მასში მონაწილეთა სიმრავლის შემთხვევაში“⁶, (რომელიც გამოიცა თბილისის უნივერსიტეტის შრომებში 1986 წელს და მიეძღვნა აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის 100 წლისთავს), ორიგინალურად დაასაბუთა **მიზნის, საშუალებისა და შედეგის** ფილოსოფიური კატეგორიების მნიშვნელობა დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაში.

2. ამერიკულ სამართალმცოდნეობაში დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაში გასარკვევად, დიდი დამხმარება გამიწია ბატონი მინდია უგრეხელიძის ნაშრომმა, რომელიც ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის შერიფ ბასიონის მონოგრაფიის „მატერიალური სისხლის სამართლის“⁷ ანალიზს ეძღვნება.
3. უკვე თანამედროვე და დამოუკიდებელ საქართველოში „დანაშაულის ორგანიზატორს“ 1994 წელს დისერტაცია

⁵ *გამყრელიძე ო.*, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. მეცნიერული წერილების კრებული. მიძღვნილი პროფესორ თინათინ წერეთლის 70 წლისთავისადმი. თბ., 1977.

⁶ *უგრეხელიძე მ.*, დანაშაულის სუბიექტური მხარე მასში მონაწილეთა სიმრავლის შემთხვევაში. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტომი 255. ფსიქოლოგია, სამართალი. ეძღვნება დიმიტრი უზნაძის დაბადების 100 წლისთავს. თბ., 1986.

⁷ *უგრეხელიძე მ.*, ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის შერიფ ბასიონის ფუნდამენტური ნაშრომი „მატერიალური სისხლის სამართალი“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაგნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., №3, 1980,

მიუძღვნა ნინო გვენეტაძემ⁸, ხოლო 2006 წელს ადამ მახარაძემ, ნაშრომი მიუძღვნა „დანაშაულში დახმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას“⁹. მრავალი ასპექტით არის საინტერესო თამარ ებრალიძის სტატია „წამქეზებული წაქეზებულის წინააღმდეგ“, რომელიც წამქეზებულისა და წაქეზებულის პასუხისმგებლობის საინტერესო ანალიზს გვთავაზობს და მათი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.¹⁰ შედარებით მოგვიანებით 2012 წელს ქვეყნდება ელენე გვენცაძის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის პრობლემატიკას ეძღვნება¹¹. ძალიან საინტერესო მიგნებები აქვს ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხს 2011 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი.

⁸ *გვენეტაძე ნ.*, დანაშაულის ორგანიზატორი. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნიერო ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *გამყრელიძე ო.*, თბ., 1994.

⁹ *მახარაძე ა.*, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2006.

¹⁰ *ებრალიძე თ.*, წამქეზებული წაქეზებულის წინააღმდეგ. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კრიმინოლოგიის პრობლემები. ეძღვნება პროფესორ *თამაზ შავგულიძის* დაბადების 75-ე წლისთავს. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2006.

¹¹ *გვენცაძე ე.*, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი *გვენეტაძე ნ.*, თბ., 2012.

დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები¹². 2022 წელს დასჯადი პროვოკაციის პრობლემატიკას ეძღვნება პაპუნა გურულის სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც განხილულია დანაშაულის პროვოკაციის ყველაზე ძირეული და ფუნდამენტური საკითხები¹³.

4. დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე დიდი დახმარება გამიწია რეკოლუციამდელმა რუსულმა იურიდიულმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით, Хейфец И.Я.-ის 1914 წელს გამოცემულმა ნაშრომმა, „Подстрекательство к преступлению“¹⁴, რომელიც უშუალოდ დანაშაულში წამქეზებლობის პრობლემატიკას ეძღვნება. ასევე, ნ. ტაგანცევის¹⁵, ს. პოზნიშევის¹⁶, ო. ჟირიაევის¹⁷, ნ.

¹² *მჭედლოშვილი-ჭედრიხი ქ.*, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. გამომცემლობა „მერდიანი“, თბ., 2011.

¹³ *გურული პ.*, დასჯადი პროვოკაციის სფერო. დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი *უგრეხელიძე მ.*, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ., 2022.

¹⁴ *Хейфец И.Я.*, Подстрекательство к преступлению. Исследование. С предисл. Проф. Познишева С.В. М., 1914.

¹⁵ *Таганцев Н.С.*, Русское уголовное право. Том I. Тула, Автограф, 2001.

¹⁶ *Познишев С.В.*, Основные начала науки уголовного права. Общая часть уголовного права. М., 1917.

¹⁷ *Жиряев О.С.*, О стечении нескольких преступников в одном преступлении. Дерпт. 1850.

კოლოკოლოვის¹⁸, ნ. ტიმაშევის¹⁹, ნ. სეგეევსკის²⁰ და სხვა ნაშრომებმა.

5. წამქეზებლობის სამართლებრივი ბუნების კვლევაში გარკვეული დახმარება გამიწია საბჭოურმა და პოსტსაბჭოურმა ლიტერატურამ: ფ. ბურჩაკის²¹, პ. გრიშაევისა და გ. კრიგერის²², ვ. გრიგორიევის²³, უ. ჯეკებაევის, ლ. ვაისბერგისა და რ. სუდანოვას²⁴, ა. ტრაინინის²⁵, მ. კოვალევის 1960 წელს²⁶, 1962 წელს²⁷, და 1999 წელს²⁸, ა. კოზლოვის²⁹ გამოცემულმა მონოგრაფიებმა.

¹⁸ *Колоколов Г.Б.*, О соучастии в преступлении (о соучастии вообще и подстрекательстве в частности). М., 1881.

¹⁹ *Тимашев Н.С.* Юридическая природа уголовной ответственности соучастников. Петроград, 1915.

²⁰ *Сергеевский Н.Д.*, Русское уголовное право. Пособие к лекциям Сергеевского Н.Д. Часть Общая. С.Петербург, 1905.

²¹ *Бурчак Ф.Г.*, Учение о соучастии по советскому уголовному праву. Киев, 1969.

²² *Гришаев П.И., Кригер Г.А.*, Соучастие по советскому уголовному праву. М., Госюриздат, 1959.

²³ *Григорьев В.А.*, Соучастие в преступлении по уголовному праву РФ. Уфа, 1995.

²⁴ *Джекебаев У.М., Вайсберг Л.М., Суданова Р.Н.*, Соучастие в преступлении. Алма-Ата, Наука, 1981.

²⁵ *Траинин А.Н.*, Учение о соучастии. Юрид. Изд-во НКЮ СССР. М., 1941.

²⁶ *Ковалев М.И.*, Соучастие в преступлении. Часть I. Свердловск, 1960.

²⁷ *Ковалев М.И.*, Соучастие в преступлении. Часть II. Свердловск, 1962.

²⁸ *Ковалев М.И.*, Соучастие в преступлении. Монография. Екатеринбург, 1999.

²⁹ *Козлов А.П.*, Соучастие: традиции и реальность. СПб., Издательство „Юридический центр Пресс“. Санкт-Петербург. 2001.

6. დისერტაციაში თანამონაწილეობისა და წამქეზებლობის საკითხები განხილული და გაანალიზებული არის გერმანელი და სხვა უცხოელი ავტორების ნაშრომების მიხედვით: ბ. ჰაინრიხის³⁰, რ. ინგელფინგერის³¹, ჰ. ჰ. იეშეკისა და თ. ვაიგენდის³², კ. როქსინის 2003 წელს³³ და 2015 წელს³⁴ გამოცემული ნაშრომები. ასევე, ბ. ნოლტენიუსის³⁵, მ. ნიკოლიდაკისის³⁶, ს. კადიშის³⁷, გ. უილიამსის³⁸, პ. მარკუსის³⁹ და სხვათა ნაშრომები.
7. დისერტაციას გარკვეულ ხიბლს სძენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მრავალფეროვანი და

³⁰ *Heinrich B.*, Strafrecht. Allgemeiner Teil. 6. Aufl. Nomos Verlag. 2019.

³¹ *Ingelfinger R.*, Anstiftersvorsatz und Tatbestimmtheit. Duncker & Humblot. Berlin, 1992.

³² *Jescheck H.H., Weigend T.*, Lehrbuch des Strafrechts. Allgemeiner Teil. Fünfte Auflage. Duncker & Humblot. Berlin, 1996.

³³ *Roxin C.*, 2003. Strafrecht. Allgemeiner Teil. Band II, Besondere Erscheinungsformen der Straftat. Verlag C.H.Beck, München, 2003.

³⁴ *Roxin C.*, Täterschaft und Tatherrschaft. Veröffentlicht De Gruyter. 9. Auflage. München, 2015.

³⁵ *Noltenius B.*, Kriterien der Abgrenzung von Anstiftung und mittelbarer Täterschaft (Ein Beitrag auf der Grundlage einer personalen Handlungslehre). Peter Lang, Auflage. Frankfurt am Main, 2003.

³⁶ *Nikolidakis M.*, Grundfragen der Anstiftung. Strafgrund – agent provocateur Objektsverwechslung. Duncker & Humblot. Berlin, 2004.

³⁷ *Kadish S.H.*, 1985., Complicity, Cause and Blame. Study in the Interpretation Doctrine, California Law Review, Vol. 73, Issue 2, 1985.

³⁸ *Williams G.* Criminal Law. Second Edition. The General Part. „Stevens & Sons Ltd“, 1961.

³⁹ *Marcus P.*, Prosecution and Defense of Criminal Conspiracy Cases. 1997.

საინტერესო კონსტრუქციებით გამოირჩევა. მათი გამოყენების შედეგად ვეზიარეთ არა მხოლოდ პრეცედენტულ სამართალს, არამედ საკვლევი პრობლემის პრაქტიკულ ცხოვრებასთან მიმართებაში გააზრებისთვისაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

8. სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში განსაკუთრებით დამეხმარა აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის ნაშრომები 1975 წლიდან 2020 წლის ჩათვლით.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

ფილოსოფია, როგორც ყველა მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველია. დიალექტის ფილოსოფიური კანონების (დაპირისპირებულობათა ბრძოლისა და ერთიანობის კანონი, უარყოფის უარყოფის კანონი, რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის კანონი) და მათი გამოყენების მეთოდი, მეთოდიკა და მეთოდოლოგია მნიშვნელოვანია ნებისმიერი მეცნიერების ბუნებისა და კონკრეტული საგნის მნიშვნელობის დასადგენად, მით უფრო ჩვენი სამეცნიერო კვლევის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომის უმთავრეს მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეპტზე დამყარებული მოძღვრება (the rule of law).

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპარატივისტულ და სისტემურ მეთოდებს. ისტორიულ-სამართლებრივი და შედარებით-სამართლებრივი მეთოდის მომარჯვებით, განხორციელებულია სხვადასხვა სამართლის სისტემაში მიღებული დებულებების შეპირისპირება. შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, მეცნიერების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიღწევათა გათვალისწინებით, შემოთავაზებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. განსაკუთრებულია სამართლებრივი

ფიქციისა და ფიქციონალიზმის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა დანაშაულში წამქეზებლობის კვლევისას, ვინაიდან ორივე მოვლენისათვის დამახასიათებელია გაგებითი შემეცნება. ასევე, გასათვალისწინებელია სამართლის ღირებულებითი ფილოსოფიის (სამართლის აქსიოლოგიის) მეთოდის მნიშვნელობა დანაშაულის ცნების სტრუქტურაში, ვინაიდან აქსიოლოგიური მეთოდით განსაზღვრება ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის თანაფარდობა.

საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებულია და გაანალიზებულია ლეგიმეტრიული (სამართალმზომელობითი) და ხელოვნებათმზომელობითი მეთოდი, რომელიც ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორებიცაა, დოგმატური (ფორმალურ-იურიდიული), სისტემურ-სტრუქტურული, ინტერდისციპლინური, ნარატიული, აღწერისა და გაგების მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური, ანალიტიკურ-სინთეზური, კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიული-პრაქტიკული მნიშვნელობა

დისერტაციის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ საკვლევი თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად არის განხილული და კომპლექსურად გამოკვლეული დანაშაულში თანამონაწილეობის არა მხოლოდ კლასიკური სახეები (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), არამედ ქართული სისხლის სამართლისათვის უცხო ინსტიტუტებიც (დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდება და რისკის ამაღლება), რომელთა არსებობაც ინგლისურ-ამერიკული და თუ კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში (გერმანია,

საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია) სისხლის სამართალში დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის არარსებობით აიხსნება.

კვლევის სიახლისათვის დისერტაციაში შედარებით-სამართლებრივი კუთხით გაანალიზებულია დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება და მასთან დაკავშირებით არსებული და წლების განმავლობაში განვითარებული მიდგომები, რაც წარმოაჩენს დანაშაულში წამქეზებლობის სირთულეს და ქმედების წამქეზებლობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს. სასამართლო პრაქტიკის განზოგადებითა და ანალიზით შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმების შესახებ. დასმული პრობლემის კომპარატივისტულ მეთოდთან ერთად გამოყენებულია ქართული და საზღვარგარეთული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც.

რამდენადაც კვლევის მთავარი მიზანია დანაშაულის წამქეზებლობის სპეციფიკის დადგენა, დისერტაციაში განვითარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა არა ერთი რომელიმე ხისტი მიდგომის ჩამოყალიბება, არამედ ზოგადი კანონზომიერების დადგენა ერთი მხრივ, წამქეზებლობისა და ფსიქიკური დამხმარის გამიჯვნის კრიტერიუმებზე, და, მეორე მხრივ, წამქეზებლობისა და აგენტ-პროვოკატორის სამართლებრივი გამიჯვნის პრობლემაზე. საინტერესოა ასევე წამქეზებლობისა და დანაშაულის პროვოკაციის ურთიერთკავშირისა და გამიჯვნის საკითხი. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ყოველივე ზემოაღნიშნულზე დასაბუთებული და კარგად გაანალიზებული, მეცნიერული პასუხების შემოთავაზება. ამისათვის შევისწავლე დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებული საკითხები და კომპარატივისტული ანუ შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე,

შემოთავაზებულია შესაბამისი საინტერესო დასკვნები. კერძოდ, მაპროვოცირებელი პირის (პროვოკატორი) და პროვოცირებულის მიერ განხორციელებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გარეგნულად ემსგავსებ კიდევაც წამქეზებლობას, სინამდვილეში წამქეზებლობის შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, ხოლო დანაშაულის პროვოკაცია თავისი იურიდიული ბუნებით უმართლობის დამოუკიდებელ ტიპს წარმოადგენს (Delictum sui generis).

სისხლის სამართლის ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული პოზიციის საპირისპიროდ, დისერტაციაში ახლებურადაა გააზრებული დანაშაულის პროვოკაციის დროს პირის დაყოლების საკითხები. ისე დებულება, რომ თუ აგენტ-პროვოკატორი ან წამქეზებელი შეაცდენს პირს და იგი ევენტუალური განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან, ეწინააღმდეგება შუალობითი ამსრულებლობის საკანონმდებლო კონსტრუქციას, რაც მოცემულია საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლში.

დისერტაციაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, ნაშრომის სიახლედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ თანამონაწილეები ყოველთვის **საერთო მიზნით** კი არ მოქმედებენ, არამედ ზოგჯერ საკმარისია მათი **საერთო განზრახვით** მოქმედება, რაც ლოგიკურად გულისხმობს თანამონაწილეობის შესაძლებლობას, როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვით, რისი აღიარებაც ქართულ რეალობაში წინადადებულ ნაბიჯად მიმაჩნია. უარსაყოფია ის დებულება, რომლის თანახმად, თანამონაწილის (ორგანიზატორის, წამქეზებლის) ცნების განსაზღვრისათვის საჭიროა თითქოს მითითება ისეთ სუბიექტურ ნიშანზე, როგორიცაა **გამიზვნა**. ის ავტორები, რომლებიც თანამონაწილეობის შესაძლებლობას უშვებენ

მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს მიზნით დეტერმინირებული ქმედების შემთხვევაში, გამოუვალ წინააღმდეგობას აწყდებიან, ვინაიდან მიზნით დეტერმინირებულია მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ხოლო თვით პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ყველა დანაშაულში, კერძოდ, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, თანამონაწილეობაზე უარი უნდა ვთქვათ.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, სამართლებრივი კვლევის ისეთი თანამედროვე მეთოდის მომარჯვება ლეგიმეტრიის ისეთ მონათესავე დარგში, როგორიცაა მაგალითად, სოციომეტრია. ასევე, ხელოვნებათმეცნიერებათა მეთოდის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონში მოდელურად გაითამაშებს ადამიანთა იმ დრამას, რომელიც მომავალში შეიძლება დატრიალდეს. აღსანიშნავია, რომ „როლის“ თეატრალური ცნება სისხლის სამართლისათვის უცხო ნამდვილად არ არის, მით უმეტეს ეს ითქმის თანამონაწილეობის ფორმით დანაშაულის ჩადენაზე როლების დანაწილებით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომის სტრუქტურა შედგება ანოტაციის, გამოყენებული აბრევიატურის, შესავლის, 3 თავის, 13 პარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 282 გვერდს, აქედან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 24 გვერდს მოიცავს, რომელიც ნაშრომს თან ერთვის.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I. თანამონაწილეობისა და წაქეზების შესახებ სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კანონმდებლობის განვითარების ეტაპები და მდგომარეობა

დისერტაციის პირველ თავში, შესწავლილი და გაანალიზებულია ადამიანის პასუხისმგებლობის რაციონალური დასაბუთების პრობლემა. კერძოდ, დასმულია კითხვა - ნებისმიერი ქცევის თავისებურებიდან და მისი ფენომენოლოგიიდან გამომდინარე, თავისუფალია თუ არა ნებისყოფა; საინტერესოა ნებისყოფის თავისუფლების ინდეტერმინისტული კონცეფცია როგორ ასაბუთებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის პრობლემას; ადამიანი როდესაც ნებელობით ქცევას მიმართავს, მისი ნებისყოფა აუცილებლად მოტივით არის განსაზღვრული. აქ ისმის კითხვა - თუ როგორ შეუძლია ნებისყოფას აღძრას ქცევა, რომელიც ასეთი განსაზღვრულობით არ ხასიათდება; მოტივისა და ქცევის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა იძლევა თუ არა პასუხს კითხვაზე, არის თუ არა ნებისყოფა თავისუფალი; ამ ყველაფერზე პასუხების გასაცემად დაგვჭირდა სისხლის სამართლის ძირითად მიმართულებათა (ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური, კლასიკური) მეცნიერული ანალიზი ნებისყოფის თავისუფლების პრობლემისადმი და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებზე. ნაშრომში ფართოდ არის გაშუქებული დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები და ნაჩვენებია ინდეტერმინიზმის შეუსაბამობა საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში. გაზიარებულია აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ნებისყოფის თავისუფლების

პრობლემის ინდეტერმინისტული და დეტერმინისტული გადაჭრის მცდელობა ორ უკიდურესობას წარმოადგენს. ამ საკითხის სწორად განსაზღვრისათვის მას შუალედური პოზიცია უკავია და იგი ასკვნის, რომ დეტერმინიზმი არ გამორიცხავს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას. მიმაჩნია, რომ ადამიანს რომელსაც არ გააჩნია „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა“, შეუძლებელია ბრალის პრინციპზე აგებულმა სისხლის სამართალმა დააკისროს პასუხისმგებლობა. ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე თუ როგორ შეუძლია ნებისყოფას აღძრას ქცევა, რომელიც ასეთი განსაზღვრულობით არ ხასიათდება, აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე ორიგინალურ დასაბუთებას გვთავაზობს. მისი შეფასებით, ადამიანის ქცევას საფუძვლად უდევს მოტივები, რომლებიც ფსიქიკურია და ამიტომ ასახვაა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სინამდვილის ზემოქმედებისა, მაგრამ ადამიანზე გარემოს ზემოქმედებას უპირისპირდება არა მარტო შემმეცნებელი სუბიექტი, არამედ გარკვეულ მოთხოვნილებათა მქონე სუბიექტი, რომელიც თავის აქტივობას ამ მოთხოვნილებათა შესაბამისად წარმართავს. სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება იმის მტკიცება, რომ ადამიანს აქვს „სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა“.

წამქეზებლის ქცევის შეფასება მოტივის გარეშე შეუძლებელია, რადგან წამქეზებლის ქცევის მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით შეფასება ვერ ხსნის ქცევის ფსიქოლოგიურ არსს. მართებულად მიმაჩნია ის დებულება, რომ ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძვლად, - გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია. ნებელობითი ქცევა აუცილებლად მოტივის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც მოტივაციის შედეგად ყალიბდება. დანაშაულს სჩადიან შეგნებულად მხოლოდ საკუთარი მოტივების გამო, საკუთარი მიზნის მისაღწევად. წამქეზებული ახორციელებს

დანაშაულებრივ ქმედებას, როგორც თავის პირად საქმეს, საკუთარი ცოდნისა და სურვილის (ნების) შესაბამისად (wissen und willen). წამქეზებელი მას მხოლოდ კარნახობს ქმედით მოტივებს (wirksame beweggründe).

აღნიშნულ თავში დიდი ყურადღება ეთმობა სამართლებრივ ფიქციას და მის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას დანაშაულში თანამონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისთვის. სამართალი როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტი სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ხშირად იყენებს ფიქციის მეთოდს. დისერტაცია გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომლის თანახმად, თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ შედეგთან. მიზეზობრივი კავშირი არის ის ობიექტური ზღვარი, რომლის მიღმა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გავრცელდეს. თუმცა კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული სამართლებრივი კონსტრუქცია ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეულ რისკებს შეიცავს. საქმე ისაა, რომ მიზეზობრიობის პოზიციიდან თანამონაწილეთა (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) ფაქტობრივი მოსამზადებელი ქმედება, იურიდიულად ფასდება, როგორც დამთავრებულ დანაშაულში თანამონაწილეობა. ცხადია, დანაშაულში თანამონაწილეობის აქცესორული პრინციპი გარკვეულწილად ფიქციის გარეშე თავის მნიშვნელობას კარგავს. ამაზე მეტყველებს შუალობითი ამსრულებლობის საკანონმდებლო ცნებაც, როდესაც შერაცხადი პირი დანაშაულის ჩადენის იარაღად იყენებს შეურაცხად პირს, ან შერაცხად პირს განზრახ შეიყვანს შეცდომაში და ჩაადენინებს გაუფრთხილებლობით დანაშაულს. კერძოდ, ფაქტობრივად წამქეზებელი, იურიდიულად ამსრულებელია, ხოლო ფაქტობრივად ამსრულებელი იურიდიულად დანაშაულის იარაღია. ფიქციის მეთოდი მოცემულ შემთხვევაში

პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

დისერტაციაში ნათლად არის ნაჩვენები სამართლებრივი ფიქციის პრაქტიკული ღირებულება არა მხოლოდ დანაშაულში წამქეზებლობის და შუალობითი ამსრულებლობის, არამედ დანაშაულის პროვოკაციის სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად. მაშინ როდესაც აგენტ-პროვოკატორი ცდილობს დაიყოლიოს სხვა პირი რომელიმე დანაშაულის ჩასადენად, რათა შედგომ იგი ამხილოს მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის მიზნით, თვალნათლივ ჩანს ის გარემოება, რომ დანაშაულის პროვოკაციისას აგენტ-პროვოკატორი ფაქტობრივად წამქეზებელია, მაგრამ იურიდიულად წარმოადგენს დანაშაულის პროვოკაციის ამსრულებელს. სამართლებრივი ფიქციის მეთოდის საზრისიანობა და პრაქტიკული სარგებლიანობა იმაშიც ვლინდება, რომ აგენტ-პროვოკატორი იურიდიულად წამქეზებელი ვერ იქნება. აქედან ლოგიკურად შემიძლია დავასკვნა, რომ, თუ იურიდიულად წამქეზებელი დანაშაულში თანამონაწილეა, აგენტ-პროვოკატორი მის მიერ პროვოცირებული დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება.

ნაშრომში შევეცადე გამომეხატა პოზიცია დანაშაულის სისტემის აგებულების, ამ სისტემაში ობიექტური და სუბიექტური ელემენტების ადგილის შესახებ, რამეთუ დისერტაციის სპეციფიკა - დანაშაულში წამქეზებლობის არსის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ამ პრობლემატიკაში გარკვევის შედეგად. ეს უკანასკნელი ეყრდნობა დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემას და შედგება ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალისაგან. მიმაჩნია, რომ უმართლობა არ არის მხოლოდ ობიექტური კატეგორია, არამედ ის მოიცავს ისეთ სუბიექტურ ელემენტებს, როგორიცაა **მიზანი**. დისერტაციაში კრიტიკულად არის გაანალიზებული ფინალურ

მოდერებაზე აგებული დანაშაულის სისტემა და ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია, რომელიც მხარდაჭერას ჰპოვებს ქართულ სისხლის სამართალში და ასევე საუნივერსიტეტო სწავლების საგანსაც წარმოადგენს.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გაიგივება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემასთან მთელ რიგ გაუგებრობებს იწვევს საზოგადოდ. მით უმეტეს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ცნება და არსი, მიუხედავად მისადმი მიძღვნილი უამრავი ნაშრომისა, დავას იწვევს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში მისი ადგილის თვალსაზრისით. დისერტაციაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემა გაანალიზებულია იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ორი ძირითადი განსხვავებული თვალსაზრისის მიხედვით. ერთ მათგანს საბჭოთა რუსი მეცნიერებისა, მაგალითად, (ი. ბრაინინი, ვ. კუდრიავეცი, ა. პიონტოვსკი), - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საკმარის საფუძვლად მიაჩნდათ ინდივიდის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ნაშრომში, ამ მხრივ, წინა პლანზეა წამოწეული ქართველი კრიმინალისტების (თ. წერეთლის, ო. გამყრელიძის, მ. უგრეხელიძისა და გ. ნაჭყებიას) მოსაზრება, რომ დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი და საკმარისი საფუძველი კი არაა, როგორც ეს რუსულ სისხლის სამართალში იყო და როგორც წესი დღესაცაა გაგებული, არამედ იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ქმედების მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალთან ერთად. ნაშრომში მოცემულია მცდელობა სისხლის სამართლის მეცნიერების ისეთ რთულ მეთოდოლოგიურ პრობლემატიკაში გარკვევისა, როგორიცაა ღირებულების

ფილოსოფია (აქსიოლოგია). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქსიოლოგიური მეთოდის შესწავლა ქმედების შემადგენლობასთან მიმართებაში, ვინაიდან სისხლის სამართალი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან იცავს ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ ღირებულებებს, როგორცაა ადამიანი, საკუთრება, გარემო და ასე შემდეგ, ხოლო მათი ხელყოფა კი იმსახურებს უარყოფით შეფასებას. ამდენად, აქსიოლოგიური თვალსაზრისით დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობა თავისი ბუნებით აღწერილობითია (თუმცა შეფასებითი ელემენტებიც არ არის გამორიცხული), ხოლო მართლწინააღმდეგობა, პირიქით არის ღირებულებითი (შეფასებითი) მსჯელობა და რომ სწორედ ეს მეთოდოლოგია განსაზღვრავს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის თანაფარდობის პრობლემას.

დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ მოძღვრებაში დღემდე სადავოა ის საკითხი, ქმედების შემადგენლობას უშუალოდ ამსრულებელი ახორციელებს თუ თანამონაწილე, თუ ამსრულებელიც და თანამონაწილეს ერთობლივად? მაგალითად, მ. კოვალიოვის აზრით, დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს უშუალოდ ამსრულებელი, ხოლო სხვა თანამონაწილეები დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებს და ამიტომ გვთავაზობს დანაშაულის შემადგენლობის მნიშვნელობის ორგვარ გაგებას, როგორც დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის და როგორც დანაშაულის ზოგადი შემადგენლობის. მხარდასაჭერია ო. გამყრელიძის შეხედულება, რომელიც სისხლის სამართლის კანონს ფართოდ განმარტავს და მასში მოიაზრებს კოდექსის როგორც კერძო, ასევე ზოგადი ნაწილის მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს. მასასადამე, დანაშაულის შემადგენლობას თანამონაწილეს ასრულებს. მაგალითად, ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის

მოქმედებები აღწერილია საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლით. ამიტომ, მათი პასუხისმგებლობა ეფუძნება ამ ნორმას, ცხადია იმ მუხლთან ერთად, რომლითაც აღწერილი მოქმედება ამსრულებელმა ჩაიდინა.

დისერტაციის პირველი თავის მეოთხე პარაგრაფის პირველი ქვესაკითხი ეძღვნება თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის პრობლემას რევოლუციამდელ რუსულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში. აქ განხილულია ლ. ბელოგრიც-კოტლიარევსკის, ო. გორგელიადის, გ. კოლოკოლოვის, ს. პოზნიშევის, პ. პუსტოროსლევის, ო. ჟირიაევის, ნ. სერგეევსკის, ვ. სპასოვიჩის, ნ. ტაგანცევის, ნ. ტიმაშევის, ი. ხეიფეცის შეხედულებანი მოცემულ პრობლემაზე და საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა, რომ რევოლუციამდელ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მაინც ჭარბობს დანაშაულში თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის მომხრეთა რიცხვი. განსაკუთებით ამ მხრივ გამოირჩევა ი. ხეიფეცი, რომელიც თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპის თავგამოდებულ მომხრედ გვევლინება. თანამონაწილეობის აქცესორულმა თეორიამ მხარდამჭერები პოვა დეტერმინიზმის წარმომადგენლებს შორისაც. ყველაზე საინტერესო ამ მხრივ არის ნ. ტაგანცევის შეხედულება, რომელმაც, მიზეზობრივი კავშირის თავისებური გაგების შედეგად, საკუთარი კონსტრუქცია ჩამოაყალიბა. აღნიშნული ავტორი თანამონაწილეობის კლასიკური დოქტრინიდან გამოდის და მოქმედებას და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის ცნობისათვის აყალიბებს დებულებას, რომ ყოველი დანაშაულის ჩადენის პროცესში შემოერთებულ ძალას არ უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა.

დისერტაციის პირველი თავის მეოთხე პარაგრაფის მეორე ქვესაკითხი ეძღვნება თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის

პრობლემას საბჭოურ სისხლის სამართალში. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნების გარშემო ჩამოყალიბებულ ორ ძირითად თეორიულ მიმართულებას შორის მიმდინარეობდა გაცხარებული კამათი: დანაშაულში თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის მომხრეთა (ა. ტრაინინი, შ. შარგოროდსკი, უ. კობიაშვილი) შეხედულების მიხედვით, თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მდგომარეობს არა ამსრულებლის მოქმედებაში, არამედ, თანამონაწილეთა დამოუკიდებელ მოქმედებებში. ხოლო თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის მომხრეთა (მ. კოვალიოვი, თ. წერეთელი, ფ. ბურჩაკი) შეხედულების მიხედვით, თანამონაწილის მოქმედებას არ გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მისი ქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებას დანაშაულის ამსრულებლის ქმედება განსაზღვრავს. დანაშაულში თანამონაწილეობის დამოუკიდებელი და აქცესორული თეორიების მომხრეთა მიერ გამოთქმული თვალსაზრისების დეტალური გამოკვლევისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის რიგი დებულებების ანალიზის შედეგად ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამონაწილეთა მოქმედებები თავისი ბუნებით აქცესორული ხასიათისაა. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიას მივყავართ თანამონაწილეობის ცნების სრულ გაუქმებამდე, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის შუალობითი ამსრულებლობის ცნებას. საბჭოურ სისხლის სამართალში თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად იდეოლოგიური ხასიათის იყო. ამიტომაც, თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის მომხრეები, ერთი მხრივ, უარყოფენ თანამონაწილის მოქმედების

ამსრულებლის მოქმედებაზე დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრივ, იძულებულები არიან აღიარონ ეს დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელმა ხელი აიღო დანაშაულზე ან იგი შეჩერდა მომზადების ან მცდელობის ეტაპზე. ამ დროს თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე.

დისერტაციაში არაერთგან არის ხაზგასმით მითითებული ლოგიკური აქცესორულობის პრინციპის მნიშვნელობაზე დანაშაულში თანამონაწილეთა დასჯადობისათვის. ნაშრომში სწორედ რომ დანაშაულში თანამონაწილეობის საკანონმდებლო ცნებიდან გამომდინარე (სსკ-ის 23-ე მუხლი), საუბარი არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე განზრახი დანაშაულის ჩადენაში. რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და კანონმდებლობაში დამკვიდრებულ და ქართულ სისხლის სამართალში აღიარებულ ე.წ. „ლიმიტირებული აქცესორულობის თეორიას“, ჩემი აზრით მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ერთიანი უმართლობის და არა ერთიანი დანაშაულის ჩადენა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, როდესაც სპეციალური ამსრულებელი, რომელიც, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, მოცემული შემადგენლობის მხოლოდ ამსრულებელი შეიძლება იყოს, მოქმედებს ბრალის გარეშე, ხოლო ვინც ამ პირს უმართლობისკენ წააქეზებს ან დაეხმარება მის განხორციელებაში დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. დოგმატიკური შეთანხმება იმის შესახებ, რომ „სპეციალური ამსრულებელი“ არ შეიძლება იყოს „ცოცხალი იარაღი“ და „არასპეციალური სუბიექტი“ - (extraneus) - ამსრულებელი ან შუალობითი ამსრულებელი, გერმანულ და შესაბამისად ქართულ სისხლის სამართალში ლიმიტირებული აქცესორობის შემოღებას

მოითხოვს, რაც ბრალის გარეშე მოქმედი „სპეციალური ამსრულებლის“ წაქეზების შესაძლებლობას იძლევა.

დისერტაციის პირველი თავის მეხუთე პარაგრაფი ეძღვნება თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის პრობლემას ადრეულ გერმანულ სისხლის სამართალში. ნაშრომში ვრცლად არის გაანალიზებული გერმანულ მეცნიერთა შეხედულებები (ბარი, ბირკმაიერი, მაიერ-ალფელდი, ფრანც ფონ ლისტი) და გერმანიის 1871 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკას ეხება, შესაბამისად, გაკეთებულია დასკვნა, რომ ადრეული გერმანული სისხლის სამართალი და მეცნიერება მყარად დგას თანამონაწილეობის დასჯადობის აქცესორულ პრინციპზე.

ნაშრომში მოცემულია და გაანალიზებულია პროფესორ ოთარ გამყრელიძის ორიგინალური კრიტიკა შვეიცარიელი ავტორის შტეფან ტრესელის თეორიისა, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების (Schulddeteilnahmelehre) სახელწოდებით არის ცნობილი. ამ მოძღვრების თანახმად, წამქეზებელი შეაცდენს ამსრულებელს, დანაშაულს ჩაადენინებს და ციხეში ჩააგდებს, ანუ წამქეზებელი ისჯება ამსრულებლის კორუფციისათვის (In Schuld und Strafe geführt haben). ამდენად, წამქეზებელი და ამსრულებელი სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ. კერძოდ, წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის „სოციალურ დეზინტეგრაციას“, ხოლო ამსრულებელი კი ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ამა თუ იმ სამართლებრივ სიკეთეს (სიცოცხლეს, საკუთრებას და ა. შ). სამწუხაროდ, ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, თანამონაწილეთა დასჯადობის საერთო საფუძველს ვერ ადგენს და წამქეზებლისა და დამხმარის დასჯადობის საკითხს

დიფერენცირებულად წარმოგვიდგენს. ეს სწავლება, წამქეზებლის დასჯადობის საკითხს კორუფციის თეორიით შემოფარგლავს, მაშინ როცა დამხმარის პასუხისმგებლობას მიზეზობრიობაზე აფუძნებს. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება ზუსტად ვერ ხსნის წამქეზებლობის ბუნებას. თუ წამქეზებელი (ან დამხმარე) ამსრულებლის სოციალურ დეზინტეგრაციას ახდენს და ამდენად, დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს, მაშასადამე, თანამონაწილესა და ამსრულებელს შორის ზღვარი იშლება.

ნაშრომში განხილულია უმართლობაში თანამონაწილეობის მოძღვრების გერმანული თეორია (Unrechtsteilnahmetheorie), და მისი ერთ-ერთი აქტიური დამცველის გ. ლესის თვალსაზრისზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ წამქეზებელი ამსრულებელს უმართლობას ჩაადენინებს და ამით იწვევს მის „სოციალურ დეზინტეგრაციას“ საზოგადოებაში. თანამონაწილე, კონკრეტულად კი წამქეზებელი აზიანებს „სხვისი პიროვნების ღირსებას“. თუკი მაგალითად, ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, წამქეზებლის დასჯადობას ამსრულებლის ფსიქიკური სამყაროს ხელყოფაში ხედავს (ამსრულებლის შინაგანი სამყაროს ხელყოფა), მაშინ, როდესაც უმართლობაში თანამონაწილეობის მოძღვრების ძირითად პოსტულატს ამსრულებლის გარეგანი სამყაროს ხელყოფა, მისი „სოციალური დეზინტეგრაცია“ წარმოადგენს. თანამონაწილის (წამქეზებლის) ქმედება, ამსრულებლის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ თანამონაწილენი საერთო უმართლობას (Allgemeines unrecht) ახორციელებენ. უმართლობაში თანამონაწილეობის მოძღვრების მოდიფიცირებული თეორიის ფარგლებში (Die Modifizierte Unrechtsteilnahmetheorie) მოცემულ დებულებას ავითარებდა ცნობილი გერმანელი იურისტი, ჰანს ველცელი. მისი მტკიცებით, „ვინაიდან უმართლობა ყოველთვის პერსონალურია, ამდენად, ერთი და იმავე დანაშაულის სხვადასხვა

მონაწილეთათვის უმართლობა სხვადასხვა ხარისხის არის“. დისერტაციაში კრიტიკის მახვილი მიმართულია იმ ნაწილზე, როდესაც ავტორი უმართლობის ხარისხებზე საუბრობს. მართლაც უმართლობას გააჩნია ხარისხები, მაშინ როდესაც მართლწინააღმდეგობის დახარისხება შეუძლებელია. კატეგორიულად არ ვეთანხმები მსჯელობის იმ ნაწილში, სადაც ის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველად პერსონალურ უმართლობას გვთავაზობს. თუკი ამსრულებელი და თანამონაწილე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად პერსონალურ უმართლობას ახორციელებენ, მაშინ გამოდის, რომ მათ არც არაფერი ჰქონიათ საერთო, რადგან ისინი ქმედების შემადგენლობას დამოუკიდებლად ახორციელებენ. ეს ვითარება კი დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკის მართებულ გადაწყვეტას საფრთხის ქვეშ აყენებს.

დისერტაციაში ასევე განხილულია გერმანელი კრიმინალისტების კლაუს ლუდერსენისა და ებერჰარდ შმიდჰოიზერის თვალსაზრისი. მათი შეხედულებით, დანაშაულში თანამონაწილეობა დამოუკიდებელ დელიქტს წარმოადგენს და თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, თანამონაწილეობის უმართლობის დამოუკიდებელი ბუნების აღიარებაში მდგომარეობს. ნაშრომში უარყოფილია წმინდა მიზეზობრიობის თეორიის ძირითადი თეზისი, რომლის თანახმადაც, თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თითქოს „ფაქტობრივი“ (faktische) ბუნების არის და მხოლოდ თანამონაწილეთა დასჯადობის წანამძღვარს წარმოადგენს. აღნიშნული სწავლება ფაქტობრივად ემსგავსება საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში აღიარებულ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიას. მათ შორის არსებითი სხვაობის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

თავი II. დანაშაულში წამქეზებლობა გერმანულ, რუსულ და ქართულ სისხლის სამართალში

დისერტაციის მეორე თავის პირველ პარაგრაფში დანაშაულის წამქეზებლობის ცნების შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი არის მოცემული ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკისა და კანონმდებლობის მიხედვით. წამქეზებელზე დანაშაულის ამსრულებლის error in persona-ს გავლენის საკითხი, პრუსიის უმაღლესი ტრიბუნალის მიერ 1859 წელს განხილული „Rose-Rosahl“-ის საქმიდან მოყოლებული ხშირად და სადავოდ განიხილება და ეხება ამსრულებლის error in persona-ს წამქეზებელზე გავლენის საკითხს („Rose-Rosahl“-ის შემთხვევა). პრუსიის უმაღლესმა ტრიბუნალმა Rose-ს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება დააკმაყოფილა და მას ბრალი წაუყენა დამთავრებული განზრახი მკვლელობისათვის, ხოლო Rosahl-ი დასაჯა ამ დამთავრებულ განზრახ მკვლელობაში წაქეზებისათვის. წამქეზებელი ისე უნდა დაისაჯოს, თითქოს მან უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. ამგვარად, ცნობილი („Rose-Rosahl“-ის შემთხვევის) შემდეგ 1990 წელს, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ პირველად გამოიტანა გადაწყვეტილება, თუ რა ზეგავლენა მოახდინა დანაშაულის ამსრულებლის error in persona-მ წამქეზებელზე.

ნაშრომში მოცემულია პრუსიის უმაღლესი ტრიბუნალისა და გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკული ანალიზი. თუკი სახეზეა შეცდომა ობიექტში, როდესაც ამსრულებელმა შეცდომა დაუშვა და სულ სხვა ობიექტი დააზიანა, განსხვავებით წამქეზებლის მიერ წარმოდგენილი ობიექტისაგან, ჩნდება კითხვა, საბოლოოდ რასთან გვაქვს საქმე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გერმანულ იურიტთა ერთი ჯგუფი მხარს უჭერს გერმანიის უზენაესი სასამართლოს არგუმენტებს და მისი პოზიციის

დაცვას ცდილობს. ისინი ამტკიცებენ, რომ ამსრულებლის error in objecto წამქეზებლისათვის ყველა შემთხვევაში გაუთვალისწინებელი იქნებოდა, თუკი გადამწყვეტ მომენტში ამსრულებელს მიახლოებდა მსხვერპლის კონკრეტიზაციას. ეს პოზიცია ნაშრომში სათანადოდ არის გაკრიტიკებული და სისხლის სამართლის თეორიიდან მოტანილია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელმა არა მარტო ერთი ადამიანი, არამედ კიდევ რამდენიმე ადამიანი მოკლა, რომლებიც ასევე სხვა პირში შეეშალა. ამ შემთხვევაში ამსრულებელმა პასუხი უნდა აგოს თითოეული მკვლელობისათვის დამოუკიდებლად. ისმის კითხვა: მაშინ თანამონაწილესაც უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც წამქეზებელს? პრობლემის ამგვარად დაყენება და გადაწყვეტა კი წინააღმდეგობაშია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან, რომლის მიხედვითაც, წამქეზებლის განზრახვა ერთიანად უნდა მოიცავდეს ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებას ე.წ. „თანამონაწილეობის აქცესორული მოძღვრება“. საქმეს ვერ შველის პროფესორ ბერნდ ჰაინრიხის მიერ შემუშავებული სამართლებრივი კონსტრუქცია, რომ error in persona, aberatio ictus-ად უნდა იქნეს განხილული და ამსრულებლის მიერ სხვა ადამიანის მკვლელობის შემთხვევაში წამქეზებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მკვლელობის მცდელობისათვის. უნდა ითქვას ის, რომ მოცემული შეხედულებაც არადამაჯერებელია, ვინაიდან ამსრულებლის მიერ რეალურად სასურველი მსხვერპლის მკვლელობის მცდელობა არ მომხდარა.

დისერტაციის მეორე თავის მეორე პარაგრაფი ეძღვნება წამქეზებლობის ცნებას თანამედროვე რუსულ სისხლის სამართალში. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას, ნიშნებს, ფორმებსა და სახეებზე მსჯელობას დღემდე არ დაუკარგავს ინტერესი თანამედროვე რუსულ სისხლის სამართალში. იურიდიულ ლიტერატურაში, ტრადიციულად გაბატონებული

პოზიცია უჭირავს დანაშაულში თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიას. ნაშრომში გაკრიტიკებულია თანამედროვე რუსი კრიმინალისტის ა. კაზლოვის და სხვა ავტორთა შეხედულებები. თუ წამქეზებელმა წააქეზა დანაშაულის დამხმარე, ამსრულებლისათვის დაემზადებინა იარაღი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბოლო მომენტში უარი განაცხადა დანაშაულის ჩადენაზე, ამ შემთხვევაში, თუკი ა. კაზლოვს დავუჯერებ, დანაშაულში თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, მიუხედავად ამსრულებლის უარისა. ისმის კითხვა: მივანიჭოთ თუ არა დანაშაულში მონაწილე პირების ქმედებას (წამქეზებელი, დამხმარე) თანამონაწილეობის კვალიფიკაცია, თუ ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს დანაშაულისათვის მზადებას? მიმაჩნია, რომ საკითხის ამგვარად დაყენება თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

დისერტაციის მეორე თავის მესამე პარაგრაფი კი ეძღვნება დანაშაულში წამქეზებლობას ქართულ სისხლის სამართალში. დანაშაულის წამქეზებლის ქმედებასა და ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა უნდა დაეფუძნოს პროფესორ თინათინ წერეთლისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის რელევანტური მიზეზობრივი კავშირის არსებობას პირის მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის აღიარებენ მაშინ, როდესაც ეს მოქმედება დამდგარი შედეგის *conditio sine qua non*-ი, ანუ მისი აუცილებელი პირობა იყო. დანაშაულის წამქეზებლობის ობიექტური შემადგენლობის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ზოგჯერ მუქარა გამორიცხავს ამსრულებლის ნებისყოფის თავისუფლებას, რისთვისაც ეს უკანასკნელი სრულიად არ აგებს პასუხს, ხოლო დამმუქრებელი პასუხს აგებს არა როგორც წამქეზებელი, არამედ როგორც

დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი. ასევე, გამოირიცხება წაქეზება ფიზიკური ძალადობის დროს (*vis absoluta*), ვინაიდან ფიზიკური ძალადობა საერთოდ გამორიცხავს ნებელობითი მოქმედების არსებობას.

წამქეზებლისა და ფსიქიკური დამხმარის გამიჯვნის კრიტერიუმების კვლევისას აუცილებელი გახდა იმ მომენტის გაცნობიერება, რომ წამქეზებლის როლი სხვა პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში გამოიხატება. ამდენად, წაქეზებული ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას, როგორც თავის პირად საქმეს, საკუთარი ცოდნისა და სურვილის (ნების) შესაბამისად (*wissen und willen*). წამქეზებელი გადამწყვეტ ქმედით მოტივს (*wirksame beweggründe*) უქმნის ამსრულებელს და განაწყობს იმისათვის, რათა ამ უკანასკნელმა დანაშაული ჩაიდინოს, რაც დანაშაულებრივი ქმედების სწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ინტელექტუალური დამხმარის როლი ამ თვალსაზრისით შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია. იგი მხოლოდ განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენაზე, ხოლო ეს გადაწყვეტილება ამსრულებელს მის გარეშე აქვს მიღებული (*omnimodo facturus*).

დისერტაციაში განხილულია წამქეზებლისა და დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა და მოცემული პრობლემის გასაშუქებლად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რაც გულისხმობს ორ მოვლენას შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენას. დანაშაულის პროვოკაცია ისტორიულად, როგორც საზღვარგარეთის სახელმწიფოებში, ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განიხილებოდა დანაშაულის თანამონაწილეობის კონტექსტში, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა ქმედების სწორ სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციაზე. ნაშრომში გაზიარებულია

პროფესორ ოთარ გამყრელიძის შეხედულება, რომელიც De lege ferenda გამოთქვამს თვალსაზრისის და გვთავაზობს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: 1. მოტყუების გზით სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად; 2. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია. როგორც ჩანს ავტორი ამ ნორმის ადგილს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სტრუქტურაში, დანაშაულის პროვოკაციის საკანონმდებლო კონსტრუქციის ფარგლებში მოიაზრებს, რადგან დანაშაულის პროვოკაცია ეს არის სხვა ადამიანისათვის მოტყუების გზით დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი სახე.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად წამქეზებელსა და დანაშაულის პროვოკატორს ერთმანეთისაგან განასხვავებს თითქოს მიზანი, რასაც ჩვენ ბოლომდე ვერ დავეთანხმებით. დანაშაულში თანამონაწილეობის შემთხვევაში, წამქეზებლის მიზანი შეიძლება ყოველთვის არ დაემთხვეს ამსრულებლისა და სხვა თანამონაწილეების მიზანს, მთავარია მათ გააჩნდეთ **საერთო განზრახვა**. აგენტ-პროვოკატორი მარტო იმიტომ კი არ მიიჩნევა მის მიერ დაყოლიებული პირის წამქეზებლად, რომ მათ სხვადასხვა მიზანი გააჩნიათ, არამედ წამქეზებლის, როგორც თანამონაწილისა და დანაშაულის პროვოკატორის დასჯადობის სამართლებრივი საფუძველი განსხვავებული ტიპის უმართლობის ჩადენაში ძვეს. ნაშრომში გაკრიტიკებული იმ ავტორთა შეხედულებები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დანაშაულის პროვოკაციის დროს პირის დაყოლიება ხდება თითქოს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩასადენად. ამდენად, მათი პოზიცია იმის შესახებ, რომ თუ აგენტ-პროვოკატორი ან წამქეზებელი შეაცდენს პირს და იგი არაპირდაპირი განზრახვითა და გაუფრთხილებლობით დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ საქმე გვექნება შუალობით ამსრულებლობასთან, ჩემი შეხედულებით,

ეწინააღმდეგება შუალობითი ამსრულებლობის საკანონმდებლო კონსტრუქციას, რაც მოცემულია საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლში.

ნაშრომში მიმოხილულია უმედეგო წაქეზებისა და დახმარების მეთოდოლოგიური და ცალკეული სისხლისსამართლებრივი საკითხები. უმედეგო წაქეზების, როგორც დანაშაულის მომზადების სწორად გაგებისა და მასთან გამოთქმული კრიტიკის გასანეიტრალებლად დისერტაციაში გათვალისწინებულია და გაანალიზებულია მისი მიმართება, ერთი მხრივ, განზრახვის გამომჟღავნებასთან და, მეორე მხრივ, დანაშაულის წაქეზებასთან. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიმაჩნია, უმედეგო წაქეზების ცალკე დაუმთავრებელ დანაშაულად კვალიფიკაცია განზრახ მკვლელობის შემადგენლობებთან მიმართებით და უმედეგო წაქეზების ზოგად დებულებას სსკ-ის ზოგად ნაწილში დამოუკიდებელი სახე უნდა მიეცეს. ამიტომ საერთაშორისო რეკომენდაციებსა და კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რაციონალურად მიმაჩნია სამართლის დოქტორ თამარ გეგელიას მიერ შემოთავაზებული წინადადება, რომ უმედეგო წაქეზება, როგორც დანაშაულის მომზადება, შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორც დაუმთავრებელი დანაშაულის დამოუკიდებელი სახე (*delictum sui generis*).

დისერტაციის მეორე თავის მესამე ქვეთავი ეძღვნება დანაშაულში წამქეზებლობის სუბიექტური შემადგენლობას და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. ნაშრომში მითითებულია, რომ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის საკითხების კვლევა სისხლის სამართლის მეცნიერების განვლილ ეტაპს წარმოადგენს. გერმანელი იურისტი, სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფუძემდებელი ანსელმ ფოიერბახი ითვლება თანამონაწილეობის მოძღვრების ერთ-ერთ პირველ სისტემატიზატორად. მან შექმნა

თანამონაწილეობის ობიექტური თეორია, რომლის მიხედვით თანამონაწილეობის სახეებად გამოიყვნა ობიექტური ნიშნების საფუძველზე მოახდინა. გერმანელ მეცნიერთა (კარლ ბინდინგი, ანსელმ ფოიერბახი) შეხედულებებისა და სისხლის სამართლის კოდექსის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მეცნიერული აზრი, გარკვეული გამონაკლისების გარდა, ადრეულ გერმანულ სისხლის სამართალში, უარყოფდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის იდეას. რევოლუციამდე რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში კი პირიქით, გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესაძლებლობას აღიარებდნენ გ. კოლოკოლოვი, ნ. სერგეევსკი, პ. პუსტოროსლევ, ს. პოზნიშევი, ი. ხეიფევი. მოცემულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ თანამონაწილეობას ადგილი აქვს არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა მონაწილე განზრახ მოქმედებს, არამედ მაშინაც, როდესაც მათი ბრალი განსხვავებულია. რაც შეეხება თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის პრობლემას, საბჭოურ სისხლის სამართალში, 1958 წლის „საფუძვლების“ მიღებამდე თანამონაწილეობის ცნების დეფინიცია არ იყო მოცემული, რაც თანამონაწილეობის სუბიექტური მხარისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების შედეგს წარმოადგენდა. საბჭოთა მეცნიერ-იურისტთა უმრავლესობა სამართლიანად უარყოფდა გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა განსაზღვრულ სპეციფიკურ შემთხვევებში დასაშვებად მიაჩნდათ ა. ტრაინინს და ბ. შარგოროდსკის.

ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის თანამონაწილეები ყოველთვის საერთო მიზნით კი არ მოქმედებენ, არამედ ზოგჯერ საკმარისია მათი საერთო განზრახვით საქმიანობა, შესაბამისად,

დანაშაულში თანამონაწილეთა გამაერთიანებელი სუბიექტური ნიშანია არა მიზანი, არამედ ერთიანი განზრახვა.

კვლევაში ასევე, სამართალშოშოშობლობითი - ლეგიმეტრიული მეთოდის მეშვეობით გაანალიზებულია საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლი, რომელიც გვთავაზობს პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის დეფინიციას და გაკეთებულია დასკვნა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვით. მართალია, თანამონაწილეობა უპირატესად პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, თუმცა გამორიცხული არა არის თანამონაწილეობა - *inter alia* დანაშაულის წამქეზებლობა ევენტუალური განზრახვითაც. ნაშრომში განხილულია იმ მეცნიერთა მოსაზრებები, რომლებიც პრინციპულად ეწინააღმდეგებიან ევენტუალური განზრახვით დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობას, ასევე, იმ ავტორთა მოსაზრებები, რომლებიც თანამონაწილეობის ევენტუალური განზრახვით მოქმედების შესაძლებლობას აღიარებენ - (ნიკოლაი ტაგანცევი, თინათინ წერეთელი). თვით საკანონმდებლო დეფინიციის მიხედვით არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის ჩადენა შეუძლებელია. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას თანამონაწილეობის შესაძლებლობის დაშვება მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს მიზნით დეტერმინირებული ქმედების შემთხვევაში გამოუვალ მდგომარეობას ქმნის: ვინაიდან მიზნით დეტერმინირებულია მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ხოლო თვით პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ყველა დანაშაულში, კერძოდ, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, თანამონაწილეობა არ გვექნება. ჩემი დაკვირვებით, როგორც ქართულ, ასევე გერმანულ სისხლის სამართლის დოქტრინაში, ის მეცნიერები, რომლებიც დანაშაულში წამქეზებლობის

შესაძლებლობას აღიარებენ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს, ხშირად პრაქტიკული მაგალითების განხილვისას მათდა უნებურად, არაცნობიერად უშვებენ თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვის შემთხვევაშიც.

დისერტაციაში მოცემულია უმართლობის ცნების ანალიზი და გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი ერთიან უმართლობაში ძევს. (ე.ი. ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა), ხოლო ბრალის სფეროში ერთი თანამონაწილის ბრალი მეორეს არ ეწილადება. დანაშაულში თანამონაწილეობის დროს უმართლობა უნდა იყოს ერთიანი, თუმცა ზოგჯერ შესაძლებელია შემადგენლობა იყოს განსხვავებული. მაგალითად, დედა, რომელმაც უშუალოდ მოკლა ახალშობილი მშობიარობისას ან უმაღლე მშობიარობის შემდეგ, პასუხს აგებს როგორც საქართველოს სსკ-ის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ამსრულებელი, ხოლო და, რომელმაც დედას შვილის მოკვლის განზრახვა აღუძრა, პასუხს აგებს სსკ-ის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის (ე.ი. მკვლელობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა). აღნიშნულ შემთხვევაში განხორციელებულია მკვლელობის უმართლობა, ხოლო, მკვლელობის შემადგენლობა განსხვავებულია. ასევე, ამ მაგალითზე არსებობს ახალშობილის მკვლელობის წამქეზებლისა და მისი ამსრულებლის ბრალის (განზრახვის) ერთიანობა, ოღონდ განსხვავებული ხარისხით. კერძოდ, ამ შემთხვევაში წამქეზებელს მეტი ბრალი მიუძღვის, ვიდრე ამსრულებელს. უმართლობა ერთიანი განზრახვის პირობებში ხორციელდება და დანაშაულში თანამონაწილეთა ბრალის ერთიანობაც სახეზეა. ჩემი აზრით, დანაშაულში თანამონაწილე (წამქეზებელი) ფართო გაგებით ამავე დროს თანაბრალეულია. თუმცა,

თანამონაწილეთა თანაბრალეულობა სრულიადაც არ გამორიცხავს ბრალის სხვადასხვა ხარისხს, ბრალი ხომ ყოველთვის ინდივიდუალურია, რის გამოც თითქოს თანამონაწილეობის დროს არ შეიძლება ვისაუბროთ თანაბრალეულობაზე. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილენი, თანაბრალეულობის ვითარებაში, პასუხს აგებენ არა მხოლოდ უმართლობის განხორციელებაში განსხვავებული როლისა და ინტენსივობის მიხედვით, არამედ, ასევე, თითოეული ბრალის განსხვავებული ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად.

აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე ჯერ კიდევ საბჭოთა კანონმდებელს სთავაზობდა წინადადებას, რომ სისხლის სამართლის კოდექსში საგანგებოდ ყოფილიყო მითითება ბრალის ხარისხზე. მისი შეფასებით, „ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ბოლომდე თანმიმდევრული გატარება მოითხოვს, რომ პასუხისმგებლობისა და სასჯელის ზომა ბრალის ხარისხზე აუცილებლად იყოს დამოკიდებული“. გასაზიარებელია ისიც, რომ ბრალის ხარისხი უშუალოდ არის დამოკიდებული ნებისყოფის თავისუფლების ხარისხზე. სახელდობრ, „რაც უფრო მეტია გარემოებანი, რომლებიც ბოჭავენ ადამიანის ნებას, რაც უფრო ძლიერია მათი გავლენა და ნაკლებია კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების შესაძლებლობა, მით უფრო ნაკლებია ბრალის ხარისხი და პირიქით. პასუხისმგებლობის ხარისხი შესაბამისად უნდა განისაზღვროს“.

აღნიშნულ თავში განხილულია წამქეზებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულში თანამონაწილეობაზე. ერთპიროვნულად ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც

წამახალისებელი ნორმა წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს. ნაშრომში მხარდაჭერილია ის დებულება, რომ წამქეზებლობა აუცილებლად გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას სხვის ფსიქიკაზე, ამიტომ უმოქმედობით წაქეზება შეუძლებელია. უმოქმედება კი ფსიქიკურ ზეგავლენას ვერ მოახდენს პირზე, შესაბამისად, წამქეზებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიურ ხასიათს უნდა ატარებდეს და იგი მიმართული უნდა იყოს იმ მიზნით, რომ ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შეწყდეს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. ორგანიზატორისა და წამქეზებლისაგან განსხვავებით, დანაშაულის დამხმარეს უმოქმედობის გზითაც შეუძლია ზოგჯერ ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობით თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის, ორგანიზატორისა და წამქეზებლისათვის, როგორც წესი, აუცილებელია დანაშაულის თავიდან აცილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მიუთითებს, რომ ფარული აგენტების მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების მოპოვების პროცესში უნდა მოექცეს გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დანაშაულის პროვოკაციის რისკი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლის უზენაესობის პრინციპის (the rule of law) დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით. პოლიციის ფარული აგენტების მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში და მათი მხრიდან დანაშაულის პროვოცირება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნაწილში,

ეწინააღმდეგება საქმის სამართლიანი განხილვის (fair trail) სტანდარტს.

თავი III. დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ბუნება საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემებში

დისერტაციის მესამე თავში განხილულია როგორც საერთო სამართლის (ინგლისი, აშშ-ი), ასევე კონტინენტური სამართლის (გერმანია, საფრანგეთი და სხვა) ქვეყნების მიდგომები თანამონაწილეობის (წამქეზებლობის) ფორმით ჩადენილი დანაშაულისადმი და, კომპარატივისტული კვლევის მეთოდის დახმარებით, გაანალიზებულია მათ შორის ურთიერთკავშირი. ნაშრომში მოცემულია თანამონაწილეთა სახეებად კლასიფიკაცია და მათი დიფერენციაციის საკითხი ინგლისის, აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, პოლონეთის, იტალიის, ესპანეთისა და პოსტსაბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ინგლისურ და ამერიკულ სისხლის სამართალში დანაშაულში თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ არის პრიორიტეტული. დანაშაულის ყველა თანამონაწილე მოიაზრება როგორც ამსრულებელი. მიუხედავად ამისა, საერთო სამართლის ქვეყნებში თანამონაწილეობის მიზეზობრიობის საკითხში შეიმჩნევა ტენდენცია, რომლის თანახმად, ავტორთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს მიზეზობრივი კავშირის დადგენას თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის. როგორც ინგლისურ, ასევე ამერიკულ სისხლის სამართალში დანაშაულის თანამონაწილეები იყოფიან ამსრულებლებად - პირველი ხარისხის ამსრულებლები არიან ის სუბიექტები, რომლებმაც საკუთარი ხელით ჩაიდინეს დანაშაული ან მოქმედებდნენ სხვადასხვა საგნებისა და

არაბრალეული შუამავლების მეშვეობით. პირველი ხარისხის ამსრულებლად მიჩნეული არის დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, ე.ი. პირი, რომლის დანაშაულებრივ განზრახვაში ჩართული იყო დანაშაულებრივი მოქმედების ბოლო ფსიქიკური მიზეზი, რომელიც იმსახურებს გაკიცხვას. ის ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, (actus reus) - ამსრულებელია, ხოლო დანაშაულის მონაწილე დანარჩენი პირები თანამონაწილეებად განიხილებიან. მეორე ხარისხის ამსრულებელს ინგლისურ და აშშ-ის სისხლის სამართლის მიხედვით წარმოადგენს პირი, რომლის ქმედებაც ფელონიის ჩადენის მომენტში განხორციელდა დამხმარისა და წამქეზებლის (aider and abetter), მიერ.

კვლევამ ცხადყო ის, რომ ინგლისური და ამერიკული სისხლის სამართლის სპეციფიკურობას განაპირობებს დანაშაულის თანამონაწილის - „წამქეზებლის“ პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ბუნების არსებობა, რაც თანამონაწილეთათვის შედეგის ობიექტურად შერაცხვის საკითხს სერიოზულად აფერხებს. იმ ვითარებაში, როდესაც დანაშაულის უშუალო ამსრულებელი განზრახ არ ჩადის ქმედებას, წამქეზებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, როგორც დანაშაულის შუალობით ამსრულებელს. მიუხედავად ამისა, ინგლისის და აშშ-ის სისხლის სამართალი განასხვავებს დანაშაულის ამსრულებელს (perpetrator and principal), რომელიც ინგლისური და ამერიკული დოქტრინისა და პრეცედენტული სამართლის თანახმად, არის პირი, რომლის მიერ განხორციელებული ქმედებაც „დანაშაულის actus reus-ს უშუალო მიზეზია და თანამონაწილეს (accessory and accomplice). ინგლისის და აშშ-ის სისხლის სამართლის კანონი არ იძლევა თანამონაწილეობის ცნების ლეგალურ განმარტებას, თუმცა დოქტრინა დანაშაულში თანამონაწილეობას მოიაზრებს როგორც ერთგვარ „შეთანხმებას“.

თვით შეთანხმების იდეა მომდინარეობს მე-XIV საუკუნის ინგლისის სამართლებრივი და პოლიტიკური ისტორიიდან.

დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე ამერიკულ სისხლის სამართალში, განსხვავებით ქართული სისხლის სამართლისაგან, ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას ერთმანეთისაგან არ მიჯნავს, და შემოაქვს Recklessness-ის სამართლებრივი კატეგორია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორივე ამ ფორმას. ქართული სამართლისაგან განსხვავებით, ინგლისურ და აშშ-ის სისხლის სამართალში ევენტუალური განზრახვა და თვითიმედოვნება წარმოადგენს სუბიექტური შერაცხვის (mens rea) ერთიან ფორმას. აშშ-ის სხვადასხვა შტატების სისხლის სამართლის ნორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის შედეგად, დგინდება, რომ აშშ-ს სისხლის სამართალი არ იცნობს ფედერალურ სისხლის სამართლის ერთიან კოდექსს, მისი ზოგადად მიღებული გაგებით, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის მოდელი (Model Penal Code), თანამონაწილეობის ცნების ზოგად განსაზღვრებას შეიცავს.

დისერტაციის აღნიშნულ თავში პარალელურად გავლებული გერმანიის სსკ-ში რეგლამენტირებულ თანამონაწილეობის ცნებასთან და ნაჩვენებია გარკვეული სხვაობა ქართულ და გერმანულ კანონმდებლობებს შორის. მიუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ორიენტაცია გერმანულ სამართლის დოქტრინაზე, ცხადად ჩანს თანამონაწილეობის ნიშნებზე მსჯელობის დროს. გერმანიის სსკ-ი დანაშაულის ამსრულებლად ითვალისწინებს მხოლოდ იმას, ვინც უშუალოდ ახდენს ქმედების შემადგენლობის რეალიზაციას, ხოლო წამქეზებელი (სსკ-ის 26-ე პარაგრაფი) და დამხმარე (27-ე პარაგრაფი), გერმანიის სსკ-ის მიხედვით, ასრულებენ მხოლოდ სპეციფიკურ ფუნქციას.

დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დასაბუთება ე.წ. „ქმედებაზე ბატონობის“ მოძღვრების ფარგლებში, განხილული არის თ. წერეთლის, ო. გამყრელიძისა და მ. უგრეხელიძის ნაშრომების მიხედვით და ნაჩვენებია, თუ რა სირთულეებს ქმნიდა საბჭოთა კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში უშუალო ამსრულებლობასთან დანაშაულის თანამსრულებლობის გაიგივების საკითხი. რაც შეეხება შუალობითი ამსრულებლობის კონსტრუქციას, ხშირ შემთხვევაში საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, სრულიად აიგივებდნენ დანაშაულის თანამსრულებლობასთან. აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე აღნიშნულ მოვლენის სოციალური ფსიქოლოგიის ჭრილში განხილავს და „ცოცხალი იარაღის“ მიერ დანაშაულის ჩადენის მიუხედავად ხაზს უსვამს იმას, რომ ის პირველ რიგში არის ადამიანი, სოციალური არსება, რომელზეც შუალობითი ამსრულებელი, მუქართ, მოტყუებით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახორციელებს. თავისი ონტოლოგიური სტრუქტურის მიხედვით - შუალობითი ამსრულებელი „ფსიქიკურ მიზეზობრიობას“ განაპირობებს და ქმედების სუბიექტური მხარე ბრალის განზრახვი ფორმით გამოიხატება. კვლევაში მ. უგრეხელიძის შეხედულების მიხედვით, ერთგვარი პირველსახით, ე.წ. „ქმედებაზე ბატონობის“ კონსტრუქციაზე დაყრდნობით, ნათლად არის მოცემული, ვიწროდ გაგებული თანამონაწილეობის (დანაშაულის ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) სპეციფიკა და საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად, ნაჩვენებია დანაშაულში მონაწილეთა სიმრავლის შემთხვევაში თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ქმედების სუბიექტური მხარის თავისებურებანი.

აღნიშნულ თავში განხილულია ასევე დანაშაულში თანამონაწილეობის თავისებურებანი ფრანგულ სისხლის სამართალში, რითაც ის გამორჩეულია არა მხოლოდ საერთო სამართლის ქვეყნების, არამედ თვით კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების სისხლისსამართლებრივი სისტემებისგან. 1993 წლის საფრანგეთის თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი დანაშაულის ან გადაცდომის ამსრულებელთან ერთად (სსკ-ის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილი) განიხილავს დანაშაულში თანამონაწილეთა ორ სახეს: წამქეზებელსა და დამხმარეს (სსკ-ის 121-ე მუხლის მე-7 ნაწილის მე-2 აბზაცი). წამქეზებლად ცნობილია პირი, რომელმაც საჩუქრით, დაპირებებით, მუქარით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, დანაშაულებრივი ქმედების პროვოცირება მოახდინა. ამდენად, წამქეზებლობა (instigation) შესაძლებელია განხორციელდეს ორი ხერხით: პროვოკაციის და ბრძანების გზით.

დისერტაციაში დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა ფრანგული სისხლის სამართლისა და დოქტრინის არათანმიმდევრულობა. ქართული სისხლის სამართლისაგან განსხვავებით და ინგლისური და ამერიკული სამართლის მსგავსად, აღმოჩნდა, რომ ევენტუალური განზრახვა (do eventual) საერთოდ არ წარმოადგენს განზრახი ბრალის კატეგორიას. ამიტომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ფრანგული სისხლის სამართლის დოქტრინა, უშვებს დანაშაულში წამქეზებლობის შესაძლებლობას გაუფრთხილებლობით დელიქტებში. კრიმინალისტთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პირთა წინასწარი შეთანხმება, რაიმე საშიში დანაშაულის ჩასადენად, მაშინ როდესაც ქმედების შემადგენლობას ახორციელებს ერთ-ერთი მათგანი, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყველა მონაწილეს, რადგან მათ გაცნობიერებული აქვთ პოტენციური დანაშაულის მაღალი რისკი.

კვლევაში მოტანილია საფრანგეთის სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკიდან ქეისი, რომელიც ე.წ. „ორიოლის მკვლელობის“ სახელით არის ცნობილი. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მოცემულ ქეისში დანაშაულში თანამონაწილეს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების დამამძიმებელი გარემოებები შეერაცხება, იმის მიუხედავად, ის მას ითვალისწინებს თუ არა. ნაშრომში მოხმობილია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამსრულებლის ექსცესის პრობლემის გადასაწყვეტად და, შედარებითი კვლევის მეთოდის დახმარებით, ნათლად არის ნაჩვენები, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ფრანგული დოქტრინისაგან განსხვავებით მართებულად წყვეტს აღნიშნულ პრობლემას. ამსრულებლის ექსცესი, რომელიც მხოლოდ ამსრულებლის შეგნებული და ნებელობითი მოქმედების დამოუკიდებელი ნაყოფია, არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მის წამქეზებელს. რაოდენობრივი ექსცესის დროს წამქეზებელს პასუხისმგებლობა იმ დანაშაულში წაქეზებისათვის უნდა დაეკისროს, რომლის ჩადენაც მისი განზრახვით იყო მოცული. ასე, რომ საქართველოს სსკ-ის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

საინტერესო დებულებებს ითვალისწინებს წაქეზების სამართლებრივ პრობლემატიკაზე შვეიცარიისა და პოლონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა. საგულისხმოა ის, რომ შვეიცარიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, თანამონაწილის (წამქეზებლის) ქმედების შეფასება დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. შვეიცარიული დოქტრინა თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას აღიარებს და მას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს. რაც შეეხება პოლონეთის

სისხლის სამართლის კანონს, ეს უკანასკნელი არ იცნობს თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრებას. პოლონეთის სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, დანაშაულის ყოველი თანამონაწილე ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ფარგლებში. თუ მოცემულ ნორმას სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, გაუფრთხილებლობით დანაშაულში თანამონაწილეობაც იკვეთება.

იტალიურ სამართალში, ამსრულებლის ექსცესის დროს მძლავრობს ე.წ. „ობიექტური შერაცხვის“ ელემენტები, რაც ინგლისურ და ამერიკულ სისხლის სამართალში, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას strict liability-ს ენათესავება. იტალიური კანონმდებლობა ესპანურისაგან განსხვავებით, უშვებს წამქეზებლობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში (იტალიის სსკ-ის 113-ე მუხლი). იტალიის და ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული წამქეზებლობის ცნება, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობებს სასამართლო პრაქტიკაში. ასევე, არ არსებობს ერთიანი პოზიცია, თუ რა არის წამქეზებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი.

დასკვნა

ჩემს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად დისერტაციაში შევეცადე ჩამომეყალიბებინა გარკვეული დასკვნები, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის ზოგადი პრობლემატიკის გარშემო, ასევე კვლევის უშუალო საგანზე - დანაშაულის წამქეზებელზე:

1. სამართლებრივი ფიქციის მეთოდს დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკასა და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საქმეში მეთოდოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია:
 - 1.1. სამართლებრივი ფიქციის პრაქტიკული ღირებულება დანაშაულის შუალობით ამსრულებლობასთან მიმართებაში განუზომელია. შუალობითი ამსრულებელი ხელყოფს ორი პიროვნების სამართლებრივ სიკეთეს: ა) თვითონ „ცოცხალი იარაღის“ პიროვნებას და ბ) იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც წამქეზებული „ცოცხალი იარაღის“ საშუალებით ერჩის.
 - 1.2. სამართლებრივი ფიქციის თეორიულ-პრაქტიკული დანიშნულება დანაშაულის პროვოკაციასთან მიმართებაშიც მნიშვნელოვანია. დანაშაულის პროვოკაცია გარეგნულად კი ემსგავსება წამქეზებლობას, თუმცა სინამდვილეში წამქეზებლობის შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობასთან გვაქვს საქმე, ხოლო დანაშაულის პროვოკაცია თავისი იურიდიული ბუნებით დამოუკიდებელი უმართლობის ტიპს წარმოადგენს (*Delictum sui generis*). სამართლებრივი ფიქციით აიხსნება დანაშაულის პროვოკაციის იურიდიული ბუნება (საქართველოს სსკ-ის 145-ე მუხლი), მაშინ როდესაც ფაქტობრივად წამქეზებელი (იურიდიულად დანაშაულის პროვოკაციის ამსრულებელი)

ცდილობს დაიყოლიოს პირი რომელიმე დანაშაულის ჩადენისათვის, მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით.

2. ღირებულებითი ფილოსოფიის (აქსიოლოგიური) მეთოდი განსაზღვრავს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და სუბიექტის ბრალის თანაფარდობის პრობლემას. დისერტაციაში დანაშაულში წამქეზებლობის სპეციფიკური ბუნების შესწავლა დაფუძნებულია დანაშაულის ცნების სამელემენტო სტრუქტურაზე. ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი).
3. უცხოური მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე განხორციელებული სისტემური კვლევის შედეგად შესწავლილი და შეფასებულია თანამონაწილეობისა და წამქეზებლობის საკითხები სისხლის სამართლის მეცნიერებისა და კანონმდებლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რევოლუციამდელი რუსული, საბჭოური, პოსტსაბჭოური და თანამედროვე იურიდიული ლიტერატურისა და კანონმდებლობის შესაბამისად. ნაშრომში დასაბუთებულია და გაზიარებულია პოზიცია რომლის მიხედვით, დანაშაულში თანამონაწილეთა დასჯადობის შემთხვევაში თანამონაწილეობის აქცესორულ გაგებას უნდა ვემყარებოდეთ. სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სამწუხაროდ აღმოფხვრილი არ არის უხეში შეცდომები ცალკეული სახის დანაშაულთა თანამონაწილეობით ჩადენის კვალიფიკაციისას, რაც დროულ გამოსწორებას საჭიროებს.
4. დანაშაულის წამქეზებლობის შემადგენლობა გულისხმობს:

4.1. ობიექტური შემადგენლობა:

4.1.1. წამქეზებლის მიერ სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად გულისხმობს იმას, რომ მან არა მარტო უნდა აღუძრას დანაშაულის ამსრულებელს ქმედების ჩადენის გადაწყვეტილება, არამედ ეს ქმედება ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

4.1.2. წამქეზებლის ინტელექტუალური დამხმარისაგან გამიჯვნისას აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ წამქეზებლის როლი სხვა პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში გამოიხატება, ამდენად წამქეზებელი გადამწყვეტ მოტივს უქმნის ამსრულებელს და განაწყობს იმისათვის, რათა ამ უკანასკნელმა დანაშაული ჩაიდინოს, რაც დანაშაულებრივი ქმედების სწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ინტელექტუალური დამხმარის როლი ამ თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია. იგი მხოლოდ განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენაზე, ხოლო ეს გადაწყვეტილება ამსრულებელს მის გარეშე აქვს მიღებული (omnimodo facturus);

4.1.3. მიზეზობრივი კავშირი სწორედაც რომ არის ის უტყუარი ობიექტური საზომი, რომლის იქითაც დანაშაულში წამქეზებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება განიხილებოდეს. წამქეზებლის საქმიანობა არის მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან. შესაბამისად, თანამონაწილე და ამსრულებელი ერთსა და იმავე სიკეთეს ხელყოფენ და ერთიან უმართლობას ახორციელებენ.

4.1.4. დანაშაულის ჩასადენად წაქეზების ხერხი მრავალგვარია და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე. ნაშრომში გამოყოფილია წაქეზება თხოვნით, მუდართით, მოსყიდვით, მუქარით, შანტაჟით, დარწმუნებით, საჩუქრის შეპირებით და ა.შ.

4.2. სუბიექტური შემადგენლობა:

4.2.1. დანაშაულში თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრების შესაბამისად (საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლი), თანამონაწილეები ყოველთვის საერთო მიზნით კი არ მოქმედებენ, არამედ ზოგჯერ საკმარისია მათი საერთო განზრახვით საქმიანობა, რაც გულისხმობს თანამონაწილეობის შესაძლებლობას, როგორც პირდაპირი, ასევე ევენტუალური განზრახვით. დანაშაულში თანამონაწილეთა გამაერთიანებელი სუბიექტური ნიშანია არა მიზანი, არამედ ერთიანი განზრახვა. საკანონმდებლო დეფინიციის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი) მიხედვით, ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა თავისუფლად შეიძლება.

4.2.2. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას თანამონაწილეობის შესაძლებლობის დაშვება მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს მიზნით დეტერმინირებული ქმედების შემთხვევაში გამოუვალ მდგომარეობას ქმნის. ვინაიდან მიზნით დეტერმინირებულია მხოლოდ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ხოლო თვით პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ყველა დანაშაულში, კერძოდ, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, თანამონაწილეობა არ გვექნება.

- 4.2.3. ჩემი დაკვირვებით, ის მეცნიერები, რომლებიც დანაშაულში წამქეზებლობის შესაძლებლობას აღიარებენ მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკული მაგალითების განხილვისას, შიგადაშიგ მათდა უნებურად, გაუცნობიერებლად უშვებენ თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვის შემთხვევაშიც.
- 4.2.4. თანამონაწილეობის სუბსუმციისას თანაბრალეულობის მტკიცება ინარჩუნებს თავის აქტუალობას. მართალია ბრალი ყოველთვის ინდივიდუალურია, რის გამოც ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელი უნდა იყოს თანაბრალეულობა, მაგრამ ფაქტია, რომ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ხარისხი გავლენას ახდენს ბრალის ხარისხზე. დანაშაულში თანამონაწილეთა თანაბრალეულობის, ე.ი. ბრალის ერთიანობის გარეშე შეუძლებელია ერთ თანამონაწილეს უფრო მეტი ბრალი მიუძღოდეს, ვიდრე მეორეს. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილენი, თანაბრალეულობის ვითარებაში, პასუხს აგებენ არა მხოლოდ უმართლობის განხორციელებაში განსხვავებული როლისა და ინტენსივობის მიხედვით, არამედ, ასევე, თითოეული ბრალის განსხვავებული ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად.
5. მხარდასაჭერია აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის პოზიცია ნებისყოფის თავისუფლების თაობაზე, რომელსაც მიაჩნია, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ნებისყოფის თავისუფლების ხარისხსა და ბრალის ხარისხს შორის. რაც უფრო მეტია გარემოებანი, რომლებიც ბოჭავენ ადამიანის ნებას, რაც უფრო ძლიერია მათი გავლენა და ნაკლებია კონკრეტულ

შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების შესაძლებლობა, მით უფრო ნაკლებია ბრალის ხარისხი, და პირიქით, პასუხისმგებლობის ხარისხი შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

6. თუკი საბოლოოდ უარს ვიტყვით განზრახვაზე, როგორც ბრალის ფორმაზე, მაშინ მოგვიწევს უარვყოთ დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიული ხასიათი და უნდა ვადიაროთ დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობა. ამ თვალსაზრისით, შუალობითი ამსრულებლობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელი ხდება.
7. კანონმდებელს ვთავაზობ საკანონმდებლო რეკომენდაციას, რომლის მიხედვით, პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაისაჯოს უშედეგო წაქეზებისათვის, თუკი ვერ შეძლებს სხვის დაყოლიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახი მკვლელობა) და 109-ე (განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩასადენად. მოცემული ნორმის ადგილი უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სტრუქტურაში და სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილს შეიძლება დაემატოს მე-7 პრიმა მუხლი, რომელიც ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს.
8. დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დანაშაულის ამსრულებლობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს საჭიროა გამოკვეთილი იქნას თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენისას ძირითადი და მეორეხარისხოვანი პირები, რაშიც სასამართლეობი ზოგჯერ შეცდომას უშვებენ, და რაც ხშირ შემთხვევაში ქმედების დანაშაულად არასწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის საფუძველი ხდება:

8.1. სასჯელის მიზნების ნაწილში:

8.1.1. ვერ შეუწყობს ხელს სამართლიანობის აღდგენას;

8.1.2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას;

8.1.3. დამნაშავის რესოციალიზაციას;

8.2. სასჯელის ინდივიდუალიზაციის ნაწილში:

8.2.1. ვერ შეუწყობს ხელს ერთიანი სადამსჯელო პოლიტიკის გატარებას;

8.2.2. ხელს შეუშლის კანონიერების პრინციპის მაქსიმალურ უზრუნველყოფას;

9. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ზოგად წესს განსაზღვრავს, თავისი არსით სამ ფუნდამენტურ დებულებაზეა ორიენტირებული:

9.1. მასში გამოხატულია ის საერთო, რაზედაც თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა არის დაფუძნებული, ესაა ერთიანი სისხლის სამართლებრივი უმართლობა. ასევე, დაცულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და მხარდაჭერილია თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება.

10. ვიწრო გაგებით დანაშაულში თანამონაწილეობის დროს, კვლევამ აჩვენა, რომ სასურველია თანამონაწილეთა ქმედებების კვალიფიკაცია განხორციელდეს არა მარტო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე და კერძო ნაწილის შესაბამის მუხლზე მითითებით, სადაც ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებაა აღწერილი, არამედ 24-ე მუხლის იმ ნაწილზე მითითებითაც, სადაც დანაშაულში თანამონაწილე პირის კონკრეტული სახეა განსაზღვრული (მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც წამქეხებლის დეფინიციას გვთავაზობს). ჯერ ერთი, ამ

მოთხოვნის ზედმიწევნითი დაცვა ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციის განმტკიცებას, და მეორე მხრივ, მეცნიერ-იურისტს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გაუადვილებს თანამონაწილეობის კონკრეტული სახისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტიან გამოკვლევას.

10.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში კატეგორიულად მოითხოვს, რომ ფარული აგენტების მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულების მოპოვების პროცესში უნდა მოექცეს გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დანაშაულის პროვოკაციის რისკი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლის უზენაესობის პრინციპის (the rule of law) დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით.

10.2. პოლიციის ფარული აგენტების მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში და მათი მხრიდან დანაშაულის პროვოცირება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნაწილში, ეწინააღმდეგება საქმის სამართლიანი განხილვის (fair trial) სტანდარტს.

10.3. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ინგლისური და ამერიკული სისხლის სამართლის დოქტრინის არათანმიმდევრულობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ერთი მხრივ, უარყოფს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის (წამქეზებლობის) შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ფართო გასაქანს აძლევს თანამონაწილეობა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის იდეას, რასაც ასევე, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების სრულ უარყოფამდე მივყავართ.

11. შედარებით-სამართლებრივმა კვლევამ ცხადყო, რომ დანაშაულის წამქეზებლობის საკითხები ამსრულებლის ექსცესის დროს, განსხვავებულად წყდება ქართულ და ფრანგულ სისხლის სამართალში. იტალიური სამართლის ანალოგიით, ამსრულებლის ექსცესის დროს მძლავრობს ე.წ. „ობიექტური შერაცხვის“ ელემენტები, რაც ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას strict liability-ს უახლოვდება.
12. იტალიური კანონმდებლობა ესპანურისაგან განსხვავებით, უშვებს წამქეზებლობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში (იტალიის სსკ-ის 113-ე მუხლი). იტალიის და ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული წამქეზებლობის ცნება, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობებს სასამართლო პრაქტიკაში. ასევე, არ არსებობს ერთიანი პოზიცია, თუ რა არის წამქეზებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი. ასევე, პოლონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, უშვებს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის შესაძლებლობას (პოლონეთის სსკ-ის მე-20 მუხლი).
13. დსთ-ს ქვეყნების მოდელურ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის წამქეზებლობის პრობლემატიკა, ძირითადად ისეა გადაწყვეტილი, როგორც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ისეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, როგორიცაა, მოლდოვა, უზბეკეთი, ბუნდოვნად არის განსაზღვრული თანამონაწილეობის ცნების შინაარსი, რაც გვაფიქრებინებს, რომ დანაშაულში წამქეზებლობა შესაძლებელია ბრალის როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებლობის ფორმითაც

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში

სტატიები:

1. თანამონაწილეობის ბუნება და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, №2-3(11), 2011.
2. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი გერმანულ სისხლის სამართალში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, №3, 2011.
3. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი (კომპარატივისტული ანალიზი). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, №11, 2017.
4. საერთო ფილოსოფიური და სამართლებრივი წანამდგვრების მიეხანი პასუხისმგებლობისათვის ერთპიროვნული და თანამონაწილეობითი დანაშაულის გამო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურიდიული მაცნე“, №1(4), 2021.
9. დანაშაულში თანამონაწილეობის სამართლებრივი ბუნება აშშ-ის სისხლის სამართალში. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სამეცნიერო ჟურნალი „იუსტიცია“, №1(4) მაისი, 2023.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. თანამონაწილეობის დასჯადობის გონივრული დასჯადობისათვის. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი, 2017 წელი.

2. დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სპეციფიკა (ლეგიმეტრიული ანალიზი). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე სამართლის გამოწვევები - Challenges of Modern Law“, 22-23 ივნისი, 2022. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (Proceedings of the International Scientific Conference) გამოქვეყნდა კრებულში, გამომცემლობა, „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2022 წელი.



Caucasus International University

Faculty of Law

Ph.D. Program in Law

Giorgi Kobalia

**Specifics of Crime Incitement
(Comparative Analysis)**

Abstract Dissertation

Presented for Academic Degree of Ph.D. in Law

**Scientific Supervisor: Mindia
Ugrekheldidze**

**Academician,
Professor**

Tbilisi, 0141, Georgia

2024

Scientific Supervisor: **Mindia Ugrekheldidze**

Academician, Professor

Official reviewers:

Tamar Ebralidze – Doctor of Law,
Professor of the University of Georgia

Elene Kakabadze - Doctor of Law,
Georgian National University – SEU,

Invited lecturer

Defense of the dissertation shall take place on January 18, 2024, 16:00
PM,

at the Dissertation Council of the Faculty of Law of Caucasus
International

University

Address: Room 305, Building 1 of Caucasus International University,
Chargali Str. №73, 0141, Tbilisi, Georgia

Dissertation is accessible at the library of the Caucasus International
University

Secretary of the Dissertation Board: **Aleksandre Giorgidze**

Doctor of Law,
Associate Professor

Annotation

The topic of the thesis is „Specifics of Crime Incitement (Comparative Analysis)”. As it can be seen from the title, the thesis deals with one of the crucial problems in the theory of criminal law, which is of great theoretical as well as practical importance in the law-making and law enforcement process.

The first chapter of the thesis focuses on a very complex and understudied problem, namely the characteristics of volitional behaviour. The paper provides a thorough and controversial review of such issues as philosophical, psychological and legal aspects of free will, the philosophical and legal nature of determinism and indeterminism, fiction and its methodological significance for the problem of complicity in crime. In order to study volitional behavior, the paper examines both the Georgian and foreign scientific-philosophical and legal-methodological literature, as well as the views of various authors.

The essence of the thesis can be explained primarily through the method of fiction, which allowed us for a logical study of the problem stated and the drawing of appropriate conclusions. As for the legimetrical method, it is not widely known in legal science and therefore is currently gaining ground in the theory of criminal law. However, there is hardly a single theoretical problem in legal science that cannot be discussed from the legimetrical perspective. We are referring to the objective and subjective grounds for penalization of accomplices; specifically, in the case of complicity in a crime committed with eventual intent, we deal with a purely legimetrical act, which must be subject to the essential quantification, since anything that can be graded is measurable at the same time.

The paper thoroughly reviews and examines the characteristics of incitement to commit a crime within the framework of the crime triangle (Part 1 of Article 7 of the Criminal Code of Georgia). The peculiarity of the structure of the concept of crime lies in the complex methodological problem of the theory of criminal law, such as the philosophical study of values (axiology).

In the course of the research, numerous academic and scientific publications were studied in Georgian and other languages. A great deal of materials has been examined with regard to the penalization of complicity. The paper critically evaluates the pre-revolutionary Russian, Soviet, post-Soviet and contemporary Georgian legal literature and criminal law in terms of penalization of complicity, and demonstrates that, despite the scientific knowledge accumulated and practical experience gained throughout the centuries, no consensus has been reached so far regarding the grounds of penalization of complicity and the essence of jointly committed crimes.

In the thesis, a special paragraph is devoted to the study of theoretical questions of penalization of complicity in legal dogmatics of pre-revolutionary Russian and German criminal law of the 19th century, as well as in contemporary criminal law and legislation. Several theories are claimed to have formed the basis for penalization of complicity. For which act the accomplice is punished for? What constitutes the basis of his/her liability? Which good (object) protected by law has been violated by a person who did not directly commit the crime but incited the crime only? We have attempted to answer these questions on the basis of a review and critical analysis of contemporary German theories of complicity penalization, and have concluded that the basis for punishment for complicity can be found in the Accessory Doctrine.

It is impossible to determine the specifics of incitement to crime without researching and analysing the broad theoretical views of complicity. Thus, in this thesis we have examined the theoretical viewpoints that have emerged in the legal literature regarding the nature of complicity as thoroughly as we could. By evaluating them and determining the content of the norms reflected in the Criminal Code, we have made an effort to define the nature of incitement to crime.

The second chapter provides a comparative analysis of the concept of incitement to crime in German, Russian and Georgian theory of criminal law, legislation and judicial practice. The paper examines the impact of the perpetrator's error on the inciter's liability. The analysis of German criminal law and the Supreme Court justice does not provide a clear-cut answer as to what effect the error in persona of the perpetrator and the causal link have on the punishment for inciter's action. The Russian model of the concept of incitement is more or less the same as the German and Georgian criminal law on incitement to crime, but the doctrine of negligent complicity in crime still remains in the Russian theory of criminal law, and the theory of separate liability is recognised as the basis for penalization of complicity.

The third chapter of the thesis is devoted to a comparative analysis of incitement to crime in the common law and criminal law of continental countries. The examples of England and the United States are used to illustrate the specifics of criminal law doctrine and legislation, as well as the peculiarities of incitement to crime. As for the continental legal system, we have thoroughly examined the normative materials and court decisions according to the legal dogmatics of criminal law and legislation of Germany, France and other countries.

Needless to say, the concept and elements of crime in the continental and common law systems are based on different dogmatic and methodological

basis. As a result, the legal nature of complicity in crime is different. The thesis presents the specifics of each legal system and analyses the views of legal scholars in these two directions. It also presents or discusses those provisions, the substantiation of which in the theory of criminal law is impossible without the use of comparative method.

The scientific principles outlined in the thesis can be used both in investigative and judicial practice as well as in the development of legislative, doctrinal, and judicial definitions that ultimately serve to protect human rights, uphold the rule of law, and improve the standard of legal culture. This makes sense because the criminal law protects crucial social values, such as people, property, environment, etc., from violation, and the violation of these values need to be prevented through effective enforcement of rigorous legal means such as criminal law.

